სამეგრელოს ამბები

№17 (698)
ოთხშაბათი
24 მაისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღემდე განვლილმა გზამ, ალბათ, ერთ რამეს მიგვახვედრა — დამოუკიდებლობის გამოცხადება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი — გამოაცხადებ, დამოუკიდებელი ვარო და დამთავრდა, იმ მომენტიდან დამოუკიდებელი ხარ!

დამოუკიდებლობისთვის ყოველდღე უნდა იბრძოლო, დამოუკიდებლობა ყოველდღე უნდა მოიპოვო, მის შესანარჩუნებლად ყოველდღე მუხლჩაუხრელად უნდა იშრომო და ოფლი ღვარო.

ჩვენ როგორ მოვიქეცით დამოუკიდებლობის პირველივე წლებში?

როგორც მოვიქეცით და საკუთარი ქვეყანა საკუთარი ხელით დავანგრიეთ, ჩვენს მიერვე არჩეული ხელისუფლება დავამხეთ, პრეზიდენტი ჯერ გავაქციეთ, მერე უკან დაბრუნებული მოვკალით, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, გავყიდეთ, რისი წაღებაც შეიძლებოდა, სახლში წავიღეთ, ფაბრიკა-ქარხნები ჯართად გავზიდეთ, სოფელი გავაჩანაგეთ, ერთ დროს ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა დროის სულ მცირე მონაკვეთში ყველაზე ღარიბ ქვეყნად ვაქციეთ.

თითქოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმისთვის გვჭირდებოდა, რომ საკუთარ ნებაზე მიშვებულებს საკუთარი სამშობლო თავისუფლად გვეძარცვა და თავისუფლად გვენგრია.

დამოუკიდებლობის მიღებით უცებ გაცხადდა, რომ დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის უვარგისები და მოუმზადებლები ვიყავით.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ თითქოს მაინც ვერ ავიდგით ფეხი და დამოუკიდებლად სიარული ვერ ვისწავლეთ.

უფრო ზუსტად, იმ უზნეო ბავშვს ვგავართ, რომელმაც სიარული კი იცის, მაგრამ მაინც ურჩევნია, სხვას დაეყრდნოს და სხვამ ატაროს.

ხშირად გაიგონებთ: რა მოგვიტანა ამ დამოუკიდებლობამ? ტერიტორიის 20% დავკარგეთ, მოსახლეობის ერთი მესამედი ქვეყნიდან გაიქცა, გავღარიბდით, გავღატაკდით, წავხდით და გავფუჭდით.

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა შევწყვიტოთ, ხელი ჩავიქნიოთ და ახალ პატრონებს ჩავბარდეთ.

როგორც დასაწყისში ვთქვი, დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი.

დამოუკიდებლობისთვის ყოველდღე უნდა იბრძოლო, დამოუკიდებლობა ყოველდღე უნდა მოიპოვო, რომ არასოდეს არ დაკარგო.

ეს მარადიული და უწყვეტი პროცესია, რომელიც არასდროს მთავრდება და რომელიც მუდმივ თავდადებას და თავგანწირვას მოითხოვს.

თუ ასე არ მოხდა, მაშინ დამოუკიდებლობა შეიძლება დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზი გახდეს და უცებ აღმოაჩინო, რომ კვლავ უღელი გადგას მრავალჭირნანახ კისერზე.

ნუ ინუგეშებ თავს იმით, რომ ეს ახალი უღელი, წინა უღლისგან განსხვავებით, ოქროთია მოვარაყებული.

უღელი უღელია, გინდ ოქროსი იყოს, გინდ — თუჯის.

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ, ძვირფასო ქართველებო!

ვახტანგ ხარჩილავა
„სგ“ N19. 2021 წ.

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ საქართველოსთვის შეწირულთა ისტორია

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 2023 წლის 20-21 მაისისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილს ავრცელებს.

„გვიახლოვდება ყველა ქართველისათვის და საქართველოს ყველა მოქალაქისათვის გამორჩეული თარიღი, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე – 26 მაისი.

ეს მოვლენა 1918 წელს მოხდა. მას ერთი წლით უსწრებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტით საქართველომ 100 წელზე მეტი ხნის წინათ გაუქმებული ჩვენი ეკლესიისა და ქვეყნის სუვერენიტეტი დაიბრუნა და დამოუკიდებელი, თვითმმართველი სახელმწიფო გახდა.

ეს იყო ჟამი საერთო-სახალხო დიდი სიხარულისა და ზეიმისა, რომელსაც ჩვენც ამ გრძნობით აღვნიშნავთ, მაგრამ დღეს გვინდა გავიხსენოთ სხვა მოვლენებიც.

როგორც ცნობილია, ქვეყნის დამოუკიდებლობამ მხოლოდ 1921 წლამდე გასტანა, თუმცა ხალხს დიდი მუხტი მისცა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით განმსჭვალა; ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ჩვენი საზოგადოება, მთელი საქართველო მათ ძალმომრეობით რეჟიმს თავიდანვე დაუპირისპირდა და მისგან გათავისუფლებას მთელი მონდომებით ცდილობდა.

ხალხის მხედრულ დარაზმვასა და ავჯანყებისათვის მზადებას ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და სხვებთან ერთად უძღვებოდა შესანიშნავი მამულიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ტექსტის ავტორი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თანამონაწილე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) დისშვილი, კოტე (კონსტანტინე) აფხაზი (შერვაშიძე). მაგრამ მოღალატემ შეთქმულნი გასცა.

ზუსტად 100 წლის წინათ თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე, ჩეკისტებმა დახვრიტეს ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილის გამორჩეული წარმომადგენლები, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სამხედრო ცენტრის 15-ვე წევრი.

ესენი იყვნენ: 1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, სამხედრო ცენტრების ხელმძღვანელი, გენერალი კოტე აფხაზი; 2. გენერალური შტაბის წევრი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი; 3. გენერალი ვარდენ წულუკიძე; 4. პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი; 5. პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი; 6. პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი; 7. პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი; 8. პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი; 9. როტმისტრი სვიმონ (სიმონიკა) ბარგატიონ-მუხრანელი; 10. როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი; 11. ლეიტენანტი ლევან (ლელო) კლიმიაშვილი; 12. სამხედრო მოხელე ნიკოლოზ ზანდუკელი; 13. იასონ კერესელიძე; 14. სვიმონ ჭიაბრიშვილი; 15. ივანე ქუთათელაძე.

კოტე აფხაზის ბოლო სიტყვები იყო: „ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“

ჩვენმა ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, უნდა იცოდნენ ამ გმირთა სახელები, საბჭოთა ათეისტური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოსთვის შეწირულთა ისტორია, რადგან ეს წარსული ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი დღევანდელობის საფუძველია.

ღმერთმა ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს კონსტანტინე შერვაშიძეს (კოტე აფხაზს) და მის თანამებრძოლთა უკვდავ სულებს და საქართველოსთვის თავდადებულ ყველა მამულიშვილს, ხოლო მათი შთამომავალნი მშვიდობით აკურთხოს.

მინდა დღესვე წინასწარ მოგილოცოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ღმერთმა თვისი მოწყალებით დაიცვას სრულიად საქართველო, ყოველი თქვენგანი, – როგორც საქართველოში მცხოვრებნი, ისე სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფნი. ღმერთმა მშვიდობა და სულიერი სიხარული მოგმადლოთ“, – თქვა პატრიარქი.

ირაკლი ღარიბაშვილი: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში 23 მაისს აფხაზეთობა აღინიშნა

ყველას, პირველ რიგში კი, ჩვენს აფხაზ თანამემამულეებს ვულოცავ დღევანდელ დღეს.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა გუნდმა ჩვენს აფხაზ ძმებს ახალი მიდგომა - შერიგებისა და ნდობის აღდგენის პოლიტიკა შესთავაზა, რადგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ერთმანეთის ნდობა დავიმსახუროთ და ჩვენი ძმები, ჩვენი აფხაზი ხალხი დავიბრუნოთ.

ჩვენ ერთი ისტორია და კულტურა გვაქვს, ერთია ჩვენი ღირებულებები და ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისადმი სწრაფვის სურვილი. სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ ურთიერთპატივისცემისა და ნდობის აღდგენა და მეგობრობა ძლიერ, გაერთიანებულ, განვითარებულ და ევროპულ ქვეყნად გვაქცევს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას აფხაზეთის დღეს. მშვიდობასა და განვითარებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს - საქართველოს.

ვაკის პარკში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის დახვრეტილი წევრების მემორიალური კუთხე გაიხსნა

ანტისაბჭოთა ავჯანყების მოწყობის მცდელობისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრების - კოტე აფხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის, როსტომ მუსხელიშვილის, გიორგი ხიმშიაშვილისა და სხვათა დახვრეტიდან 100 წელი გავიდა.

ამ ისტორიული თარიღისა და დახვრეტილი მამულიშვილებისადმი პატივის მიგების მიზნით, ვაკის პარკში, სადაც ისინი დახვრიტეს, საქართველოს მთავრობისა და საპატრიარქოს ჩართულობით, თბილისის მერიამ მემორიალური კუთხე მოაწყო. კუთხეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, ქვაჯვარი და სასანთლე.

დედაქალაქის მერმა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან ერთად, პატივი მიაგო დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას და ყვავილებით შეამკო მემორიალური კუთხე.

კახა კალაძის თქმით, აღნიშნული სივრცე გაკეთდა იმისთვის, მომავალმა თაობებმა იცოდნენ იმ გმირების შესახებ, რომლებმაც თავი გაწირეს თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

„100 წელი გავიდა ანტისაბჭოთა ავჯანყების მოწყობის მცდელობისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრის წევრების დახვრეტიდან. ეს ადამიანები ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირნენ. ჩვენ, ცხადია, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ დღესაც გრძელდება ბრძოლა თავისუფლებისთვის.

დღეიდან, ვაკის პარკში არსებობს სივრცე, სადაც შესაძლებელია ამ გმირებს მივაგოთ პატივი. ჩვენს შვილებს უნდა ვასწავლოთ და მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, თუ როგორი ადამიანები ცხოვრობდნენ საქართველოში, რომლებიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენმა შვილებმა, მომავალმა თაობებმა იცხოვრონ თავისუფალ, ძლიერ საქართველოში“, - განაცხადა თბილისის მერმა.

ქართულ მწერლობას დღეს ილიას მკვლელების შთამომავლები კლავენ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, ლიტერატორი ზაალ ბოტკოველი, რომელიც სულ ახლახან დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი გახდა. ბატონ ზაალს ვულოცავთ ამ დიდი ლიტერატურული ჯილდოს მინიჭებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

— გმადლობთ მოლოცვისთვის. წინა კვირას, დროებით ოკუპირებულ საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეში (სამწუხაროდ, ასე მოვიხსენიებ ჩვენს დიდებულ შენობას, რომელშიც ქართული მწერლობის სულია დავანებული) ქართული პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საზეიმო დღესასწაული გაიმართა, რომლის ფარგლებშიც დამაჯილდოვეს. როგორც ჩემთვის გადმოცემულ სიგელ-გუჯარში წერია: დიდი დავითის პრემია მომენიჭა ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის და დავით აღმაშენებელის წინამძღოლობით დიდგორის ომში ძლევამოსილი გამარჯვების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი პატრიოტული პოეზიის კრებულის — „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“ შექმნაში შეტანილი წვლილისთვის. იმ „ძლევაი საკვირველიდან“ 900 წელი გასულა და დადგა დრო, რომ ჩვენს სამშობლოს ახალი დავითი მოევლინოს და მისეული სიბრძნით, გონიერებით, გამჭრიახობით, წინდახედულობით გააერთიანოს საქართველო და ქართველობა. მით უმეტეს, რომ გიორგი ჭყონდიდელი უკვე გვყავს — ჩვენი სულიერი მწყემსი, კათოლიკოს- პატრიარქი ილია მეორე.

— ბატონო ზაალ, ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო სულიერებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოპოვების შემდგომ ქართული მწერლობა, კინო, თეატრი თითქოს უნდა აყვავებულიყო...

— ეს ბუნებრივმა პროცესებმა განაპირობა. 70-იან წლებში ქართული მწერლობის ბუმი იყო, რაც ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების შედეგი იყო. ეს მართლაც გამოფხიზლების პერიოდი გახლდათ. საბჭოთა კავშირი, თანდათან სუსტდებოდა. რომ არა შევარდნაძის გონიერება, ქართული მწერლობა და ხელოვნება ასეთ სიმაღლეებს ვერ მიაღწევდა. მაგალითისთვის თუნდაც თენგიზ აბულაძის დიდებული ფილმი „მონანიება“ იკმარებდა.

რაც შეეხება ქართულ მწერლობას და იმას, რომ ლაბის მთელი მსოფლიო ამ ფენომენზე ალაპარაკდა, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველესი ის არის, რომ იმ დროს სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა უკვე დაბრძენებული, დაოსტატებული, ნიჭიერებითა და მწერლური პატიოსნებით გამორჩეული თაობა, რომელმაც შეძლო ერის წინამძღოლობა და თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოს განვითარების ახალი ორიენტირები დაუსახა. ამასთანავე, ქართველი მწერლობის იმჟამინდელმა კორიფეებმა იმპერიასთან ფარულ ომში დიდი წარმატებით გამოიყენეს არაერთი ლიტერატურული ხერხი და, მათ შორის, ალეგორია. უფრო მეტიც, ისინი ალეგორიის დიდოსტატებად იქცენენ. დიახ, 70-იანი წლების მწერლობა დიდი მწერლობა იყო და სრულად აკმაყოფილებდა მსოფლიოს უმაღლესი ლიტერატურული სტანდარტების მოთხოვნებს: ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, არჩილ სულაკაური, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, შოთა ნიშნიანიძე და სხვანი ათწლეულების განმავლობაში ქმნიდნენ დიდ და სახელოვან ისტორიას ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურისა...

მერმე მოხდა ის, რასაც ქართველი კაცის სანატრიონის ასრულება ჰქვია — მოვიპოვეთ თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ერთი შეხედვით პარადოქსული მოვლენის მომსწრენი გავხდით — ქართველი მწერლების წინაშე დიდი დილემა დადგა, როგორ უნდა ეწერათ იმ პირობებში, როცა უკვე ყველაფრის უფლება ჰქონდათ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეეძლოთ სათქმელის თავისუფლად თქმა. და ასე გრძელდება უკვე 30 წელია.

— 90-იან წლებში გამოვიარეთ სამოქალაქო ომი, ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური პრობლემები, რაც მწერლობაზეც აისახა...

— ეკონომიკური სიდუხჭირიდან დავიწყოთ. 70-იან წლებში ქართულ ხელოვნებას საოცარი მხარდაჭერა ჰქონდა. რობიკო სტურუას სწორუპოვარ სპექტაკლებს ლონდონელი მაყურებელი ტაშს უკრავდა. იგი გაოცებული იყო იმ ახლებური ხედვებით, რითაც რობიკომ და მისმა დასმა შექსპირი წარმოაჩინა. იმავე პერიოდში შეიქმნა გია ყანჩელის შეუდარებელი მუსიკა, „სუხიშვილები“ განვითარების ახალ საფეხურზე ავიდნენ, ასევე, ჯემალ ჭკუასელის ანსამბლი... რაც იმ დიდი მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერის შედეგი იყო, იმდროინდელი სახელმწიფო, ხელოვნებას, მწერლობას რომ უწევდა. ახლა ეს ყველაფერი ჩამოიქცა.

სამწუხაროდ, არაერთი წაგებული ომი გადავიტანეთ. არ მინდა, ქართველი კაცის მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩეს წაგებულის სინდრომი. ალბათ, ერთ-ერთი განმაპირობებელი ესეც არის, რომ უსახსროდ დარჩენილ ქართველ კაცს ყველაფრის მიმართ აპათია გაუჩნდა. წიგნის შესაძენად ფინანსებია საჭირო. ადამიანი ფიქრობს იმაზე, როგორმე შვილებს სახლში პური მიუტანოს, წიგნისთვის საყიდელი ფული კი აღარ რჩება. თუ ხალხი წიგნს ვერ იყიდის, მწერალს შემოსავალი საიდან ექნება?! ამიტომ მწერლებიც გაღატაკდნენ. ხანდახან კიდეც ფიქრობენ, რომ მათი შრომა ფუჭია. კი, ჩვენ შემოქმედებითად ვიღვწით, მაგრამ ჩვენი წრე, დაახლოებით, 300-400-კაციანია, რომლებმაც ერთმანეთის ფასი ვიცით. ჩვენს მხარდამხარ იღვწიან და ერის მსახურების უბადლო მაგალითს იძლევიან დიდი სამოციანელების წარმომადგენლები, აგრეთვე საშუალო თაობის რამდენიმე ჩინებული შემოქმედი, რომლებიც, მწიფე თავთავისა არ იყოს, თავად არ ხმაურობენ, სამაგიეროდ, მათი ნაწარმოებები ამბობენ მათ სათქმელს.

— ზემოთ ილია ახსენეთ. ილიას ეპოქაში მწერლობა ერთ საქმეს ემსახურებოდა, ერთიანი იყო. სად გაქრა ეს ერთობა?

— ილიაც ხომ მოკლეს! ეს იმ პოლიტიკოსებმა ჩაიდინეს, რომლებიც დღევანდელი ზოგიერთი პოლიტიკოსის სულიერი მამა იყო. დღეს ქართულ მწერლობას მათი „შთამომავლები“ კლავენ. თანაც, კლავენ უიარაღოდ — ეს უფრო მძიმეა, ვიდრე შუბლში ტყვიის სროლა. ადამიანს შუბლში რომ ესვრი, იცი, რომ მისი სიცოცხლე დასრულებულია, მაგრამ, როცა მწერლობას ასე ნელ ცეცხლზე წვავენ, თითქოს პროტესტის გამოთქმაც ძნელია. გეუბნებიან: მწერალი ხარ, წადი და თავი შენი ხელობით ირჩინეო. ამ პატარა ქვეყანაში მწერლობით თავს ვერ ირჩენ. შოთა ნიშნიანიძის პოეტური კრებულები 80-ათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა და სამ დღეში თაროებიდან ქრებოდა. ასევე, მურმან ლებანიძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის კრებულები. ასე რომ არ ყოფილიყო, შედევრები ვერ შეიქმნებოდა, თუნდაც ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“, რომელიც ქართული ენის სადიდებელი ლოცვაა. ირაკლი აბაშიძემ ბევრი დიდი საქმე გააკეთა. მან სახელმწიფოს დახმარებით შოთა რუსთაველის იუბილეს გადახდა იტვირთა, რითაც მსოფლიოს დაანახა, რომ საქართველო დიდი კულტურის, წარსულის მქონე ქვეყანაა.

— 90-იან წლებში პირველი სერიოზული დარტყმა ეროვნული მოძრაობის ლიდერებისგან წამოვიდა. მათი ლოზუნგი იყო: ქართული მწერლობა მოკვდა, ნამდვილი მწერლები მთაწმინდაზე განისვენებენო...

— დიახ, ეს არ იყო შემთხვევითი, ამ პროცესში მთელი სახელმწიფო აპარატი ჩაება, მათ შორის, ტელევიზია, პრესა, რადიო. მანამდე (70-80-იანი წლები) ტელევიზიის ერთადერთი არხი არსებობდა, სადაც ყოველდღე გადიოდა გადაცემა „პოეზიის ხუთი წუთი“, მას ქართველი ბავშვებიც უსმენდნენ და ეს მათ გულს, სულს სწვდებოდა. ახლა რას უყურებენ? — სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“, საიდანაც სიბინძურის ნიაღვარი მოდის. გვინდა თუ არა, ეს ბავშვის ცნობიერებაში ილექება.

— გარდა იმისა, რომ ტელევიზიებით „პოეზიის 5 წუთი“ აღარ გადის, თავად მწერლებიც გააქრეს ეკრანებიდან და მათი ადგილი ე.წ. პოლიტიკოსებმა დაიკავეს. არადა, იყო დრო, ერი მწერლის სიტყვას ანგარიშს უწევდა...

— დიახ, ნამდვილი მწერლები პოლიტიკოსებით და მათთან ასოცირებული ე.წ. სინჯარებში გამოზრდილი მწერლებით ჩაანაცვლეს, რომლებიც ამ ფსევდოლიბერალებს ორკესტრირებულად მხარში ამოუდგნენ. ამ მწერლებს შორის ნიჭიერებიც არიან, მაგრამ მათი შემოქმედება, ფიზიკური არსებობაც კი მკვდრადშობილია, რადგან მათ საკუთარი სული მოკლეს!

სინჯარებში გამოზრდილმა ლიბერასტმა მწერლებმა ნამდვილი მწერლობაც მოკლეს და საკუთარი სულიც!

ეს სულიერებისგან დაცლილი მწერლობაა. შემირცხვენია ის მწერალი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ქართული მწერლობა ქრისტიანულ ფესვებზე დგას, მისი შემოქმედება კი საპირისპიროს ასახავს. ქართულ მწერლობას ქრისტიანობა ასაზრდოებს, ლიბერასტმა „მწერლებმა“ კი სწორედ ამის ძაგება დაიწყეს! მთვრალ მწერალს, რომელსაც პოლიცია დაიჭერს და პატრიარქის გინებას დაიწყებს, რაზე უნდა ელაპარაკო.

— უცნაური ტენდენცია გაჩნდა: ეს „მწერლები“ უცხოეთში გარბიან, იქ თარგმნიან თავიანთ „შემოქმედებას“ და იქიდან აქ — სამშობლოში იმკვიდრებენ თავს...

— დიახ, ისიც არ ესმით, რომ ყველაფერი შენი სამშობლოდან უნდა დაიწყო. ამაზე ანეკდოტი მახსენდება: ერთ ქალაქში ერთ ქუჩაზე სამი მექუდე ცხოვრობდა. ერთმა აბრაზე წააწერა: ყველაზე საუკეთესო მექუდე მთელ მსოფლიოშიო. მეორემ — ყველაზე საუკეთესო მექუდე ამ ქალაქშიო, მესამემ კი აბრაზე ასე დაწერა: ყველაზე საუკეთესო მექუდე ამ ქუჩაზეო. ჯერ შენს ქუჩაზე უნდა იყო გამორჩეული და მსოფლიომ მერე უნდა გაგიცნოს. პირდაპირ მსოფლიოდან თუ დაიწყებ სამშობლოში თავის დამკვიდრებას, არაფერი გამოგივა.

— კიდევ ერთი პრობლემა პროფესიონალი შემფასებელის არარსებობაა...

— დიახ, მაგალითად, „საბას“ პრემიების გაცემისას ასეთი სისტემა მოიფიქრეს: ჟიურის გადაწყვეტილებით ნომინანტებს აჯილ-

7 გვ.

ისტორიამ დაგვანახა, რომ პოლიტიკაში ყველაფერი დროებითია - მეგობრობაც და მტრობაც

მომდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აფასებს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი თამარ ჩიბურდანიძე:

- რუსეთის მიერ დაწესებული შეზღუდვების მოხსნას მივესალმები, რადგან ეს კარგია, როგორც საქართველოში მცხოვრები ქართველებისთვის, ასევე, რუსეთში მცხოვრები ჩვენი მილიონემდე თანამემამულისთვის. პირდაპირი ფრენების აღდგენა სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას უწყობს ხელს. რატომ გააკეთა ეს რუსეთმა, ვერ გეტყვით. ვფიქრობ, რომ 2019 წელს უსამართლოდ გაგვიუქმეს ეს ყველაფერი, ახლა კი, ალბათ, ხედავენ, რომ სერიოზულ წნეხს ვუძლებთ დასავლეთიდან, რათა ღია კონფრონტაციაში და რუსეთთან ომში ჩავერთოთ. ომში ჩართვას თავს ვარიდებთ არა იმისათვის, რომ რუსეთი არ დავაზარალოთ, ამით ჩვენს ხალხს ვუფრთხილდებით და ჩვენს ქვეყანას ვიცავთ განადგურებისგან, თუმცა არც რუსეთისთვის იქნებოდა სასარგებლო კიდევ ერთი პლაცდარმიდან შეტევა.

რაც შეეხება რუსეთთან თანამშრომლობას და პროგნოზს, თუ რას გააკეთებს ის მომავალში, არის თუ არა ფრენების აღდგენა და ცალმხრივად ვიზების გაუქმება წინ გადადგმული ნაბიჯი, - ამაზე გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ ვისაუბრებთ. აღვადგენთ თუ არა ტერიტორიულ მთლიანობას, ჯერ ვერც ამას ვიტყვით დარწმუნებით, მაგრამ ის ფაქტი, რომ ავიაკომპანია „აზიმუტმა“ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სიიდან ამოიღო, გარკვეულ იმედს გვისახავს. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ავიაკომპანია ამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა. ბუნებრივია, ეს იქნებოდა მთავრობასთან შეთანხმებით. ამიტომ მიხარია ყველაზე მეტად და მეიმედება ეს ნაბიჯები. 30 წლის შემდეგ პირველად დავინახეთ ნათელი წერტილი, რომელიც ჩვენს იმ დიდ ოცნებასთან გვაახლოვებს, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. სინათლის სხივი ვერ დავინახეთ, ვერც ნატო-სთან დაახლოების მცდელობით, ვერც ევროკავშირთან ურთიერთობით. სამი ათეული წელი არ არის ცოტა დრო. ამ დროში სახელმწიფოები შენდება. ჩვენ ვიცით, ისრაელი რამდენ ხანში აშენდა და დღეს ის უძლიერესი სახელმწიფოა.

ამდენი წლის განმავლობაში ვერ დაგვეხმარა ვერც დასავლეთი და ვერც ამერიკა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. პირიქით, უფრო მეტი ტერიტორია დავკარგეთ.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ისეთი მარტივი იყო ჩვენი მოსახლეობის კომუნიკაცია ერთმანეთთან, ახლო ურთიერთობები ჰქონდათ და ცხინვალშიც უპრობლემოდ გადადიოდნენ. ერგენთის ბაზრობასაც პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა... კოდორის ხეობა ხომ საერთოდ აჩუქეს რუსეთს, რაც ცალკე ტკივილია.

სწორედ 2008 წლის ომმა, საკაშვილის ხელისუფლებამ, ერგნეთის ბაზრობის ჩაკეტვამ, ბლოკპოსტების გამაგრებამ და ა.შ., კი არ დაგვაახლოვა, პირიქით, დაგვაშორა ერთმანეთს და კონფლიქტიც გააღრმავა.

რადგან ვერავინ დაგვეხმარა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე თავად უნდა ველაპარაკოთ მტერს, ოკუპანტს. ეს არი მთავარი და ეს არის ურთულესი პოლიტიკა. ათეულობით წლის განმავლობაში მსოფლიოს 200-მდე ქვეყანას ვეხვეწებით, ვთხოვთ, არ აღიარონ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. უკვე დროა, ვისწავლოთ როგორ შეიძლება კონფლიქტების მოგვარება ისე, რომ არც ჩვენი დასავლური მიზნები დაზარალდეს და, ამასთან, ტერიტორიულად ერთიანი გავხდეთ.

- ხშირად გითქვამთ, რომ საქართველოზე მოთხოვნა იზრდება სხვა ქვეყნების მხრიდან. რას გულისხმობთ ამაში?

- შეიძლება ვიღაც ფიქრობს, რომ საქართველო უნდა ეხვეწოს ევროპას, უნდა ვემათხოვროთ, დავუჩოქოთ, ცალ ფეხზე დავდგეთ... რაზეც ჩვენი ოპოზიცია ხმამაღლა ქირქილებს, მაგრამ რეალობა ის გახლავთ, რომ ისე სჭირდება ევროპას საქართველო, როგორც საქართველოს სჭირდება ევროპა და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტადაც... ამის შესახებ ევროპელი ლიდერები უკვე თავადაც ალაპარაკდნენ.

ჩვენ გვჯერა, რომ აუცილებლად მივიღებთ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს დეკემბერში, ევროკავშირი აღარ დაუშვებს იმ შეცდომას, რაც დაუშვა შარშან და რაც, სხვათა შორის, ქართველ ხალხს ძვირად დაუჯდა.

დასავლეთს სჭირდება კავკასიაში გამაგრება, რადგან კავკასია არის გეოპოლიტიკური კარიბჭე თანამედროვე მსოფლიოში და ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, დატვირთული და საჭირო გახდება მომავალი პოლიტიკურ დღის წესრიგში. რეალობა ძალიან მალე შეიცვლება და, შესაძლოა, მრავალპოლუსიანი პოლიტიკური გარემო მივიღოთ. აქედან გამომდინარე, საქართველოს როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გლობალურ პოლიტიკაში და, ბუნებრივია, ჩვენზე მოთხოვნა იზრდება როგორც ევროპის, ასევე ამერიკის, რუსეთისა თუ მუსულმანური სახელმწიფოების მხრიდან. ეს კი ჩვენი ქვეყნის სწორი პოლიტიკის შედეგია. საქართველოში ომი რომ ყოფილიყო, გაიზრდებოდა ჩვენზე მოთხოვნა? - რა თქმა უნდა, არა! ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის იყო, რომ გაეშვათ არსებული ხელისუფლება და მოეყვანათ ის, რომელიც მტერს აჩუქებდა მთლიანად სახელმწიფოს. თუ გადავრჩებოდით, ომის შემდგომ კიდევ ნახევარი საუკუნე ქვეყნის ფეხზე დაყენებას მოვუნდებოდით... ეს ქვეყანა გადარჩა, გადაარჩინა სწორმა, გონივრულმა პოზიციამ და გაუსაძლისი წნეხის მიუხედავად, მოთხოვნა საქართველოზე ყოველდღიურად იზრდება. სწორედ ამიტომ მჯერა, რომ ევროპა კანდიდატის სტატუსს დამსახურებულად მოგვანიჭებს.

- რუსეთი თავისი ნაბიჯებით სიტუაციის დათბობას ცდილობს, თუ ეს მისი მორიგი ხრიკია? მაინც, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან თანამეგობრობა, თანაარსებობა, იმ აუნაზღაურებელი ზიანის შემდეგ, რაც მან საქართველოს და ქართველ ხალხს მიაყენა?

- როგორც აღვნიშნე, რუსეთის მოქმედების პროგნოზირება რთულია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მნიშვნელობას ხედავს როგორც დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი და, თავის მხრივ, რუსეთიც ცდილობს, არ გაუშვას ხელიდან საქართველოსთან ურთიერთობის დალაგების შანსი. ეს ძალიან კარგია, რადგან მტერთან საუბარი გვჭირდება. ყველა ქართველის ოცნებაა საქართველოს გამთლიანება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება.

გუშინ ჯო ბაიდენი ჩაფრინდა იაპონიაში, ხიროსიმაში, იქ, სადაც 1945 წელს ატომური ბომბი ჩამოაგდო ამერიკამ. ხიროსიმასა და ნაგასაკში მაშინ დაახლოებით 214 ათასი ადამიანი დაიღუპა, ხოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მილიონი ადამიანი გარდაიცვალა მოწამვლისა და განვითარებული დაავადებების შედეგად. ისტორიამ დაგვანახა, რომ პოლიტიკაში ყველაფერი დროებითია, მეგობრობაც და მტრობაც. ბაიდენის იაპონიაში ჩასვლა არის მაგალითი იმისა, რომ ასეთი ქვეყნები დღეს თანამშრომლობენ და უახლოესი პარტნიორები არიან, რაც ძალიან კარგია. გვახსოვს, გერმანია და საფრანგეთი რა ურთიერთობაშიც იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, ევროპული სახელმწიფოები გერმანიასთან როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ! ახლა კი ერთ კავშირში, ევროკავშირში არიან გაწევრიანებული, პარტნიორობენ და თანამშრომლობენ.

რუსეთი ოკუპანტი ქვეყანაა, ჩვენი მტერია, მაგრამ მუდმივად ასე უნდა დავტოვოთ? ვერ დავტოვებთ რუსეთს მუდმივ მტრად, რადგან, საწუხაროდ, ის ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელი და მოსახღვრეა. ამიტომ უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ, რომ ჩვენი დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ.

თუკი აქამდე გვქონდა იმედი, რომ მიგვიღებდნენ ნატო-ში და მისი დახმარებით შევძლებდით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ეს იმედი გაქრა. ისევ მათ ღია კართან ვდგავართ და ნატო-ს გადამდგარი ხელმძღვანელები პირდაპირ გვეუბნებიან, რომ საქართველოს ნატო-ში არასდროს მიიღებენ, რადგან მას არ სჭირდება რუსეთთან კონფლიქტში მყოფი ქვეყანა და ვერც რუსეთს დაუპირისპირდება საქართველოს გამო, არსებული ხელმძღვანელები ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

ვნახეთ, რაც მათ განუცხადეს უკრაინას, ჯერ დაასრულეთ რუსეთთან ომი და ნატო-ში თქვენს მიღებაზე მერე ვიფიქრებთო. არც ნატო-სა და არც ევროკავშირს სჭირდება ომის ქარ-ცეცხლში გახვეული ქვეყანა, მით უმეტეს, თუ მას რუსეთი უპირისპირდება.

ევროკავშირი წლების განმავლობაში სისტემატურად ვაჭრობს რუსეთთან 32-პროცენტიანი წლიური ბრუნვით, აშშ-ის რუსეთთან ვაჭრობის წლიური ბრუნვა 22 პროცენტია, ჩვენი კი - 0.3 პროცენტი. აქედან გამომდინარე, როდესაც მოგვიწოდებენ, რომ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტოთ რუსეთთან და შევუერთდეთ სანქციებს, გვიჩნდება კითხვა - თვითონ რატომ არ დაუწესეს სანქციები მთლიანად ქვეყანას, რატომ აქვთ მასთან ვაჭრობა და ეკონომიკური კავშირები? წლების განმავლობაში ამდენი ტყუილით თუ სიმართლით, თამაშით, საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი მხოლოდ ჩვენ ვართ და ამიტომაც, ქვეყნის ბედი სწორად უნდა განვაგოთ.

- ახლა, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რადიკალური ოპოზიცია აქციას მართავს, თბილისის აეროპორტში პირველი რუსული თვითმფრინავის დაჯდომას აპროტესტებს და, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად უარყვეს ინფორმაცია, ამტკიცებენ, რომ სერგეი ლავროვის შვილი საქართველოში იმყოფება...

- ის ფაქტი, რაც დღეს მოხდა, სამარცხვინოა, რადგან ტყუილზეა აგებული. დაიწერა სიმართლე და ოფიციალურად განაცხადეს, რომ ეს ადამიანი ლავროვთან არავითარ კავშირში არ არის, ის ებრაელი, ანტიპუტინისტი და უკრაინის ღია მხარდამჭერია, რომელსაც საქართველოსთან მჭიდრო კავშირი აქვს და ჩვენს ქვეყანაში ქორწილის გადახდას აპირებდა. არ ვიცი, საიდან გაიგო ელენე ხოშტარიამ ეს ინფორმაცია, მაგრამ ქართველი ხალხი მოატყუეს, რაც ჩვენს ეკონომიკასა და ტურიზმზე ცუდად იმოქმედებს. რადიკალების ინტერესია არასტაბილური საქართველო, მეტი ღარიბ-ღატაკი ქვეყანაში, რათა ხალხი აბუნტდეს და როგორმე „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოაშოროს. რაშიც დიდ ფულს უხდიან.

როდესაც დემოგრაფიული აღორძინების ფონდი შევქმენით, დამიკავშირდნენ მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები და ახალშექმნილ ორგანიზაციაში, მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედების მიზნით, თანხის ჩარიცხვა შემოგვთავაზეს, რითაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას შევძლებდით. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები იყვნენ, უარი ვუთხარით, რადგან არ გვინდოდა, ჩვენი ფონდი რუსეთთან რაიმე კავშირში ყოფილიყო. მეორე შემოთავაზება რუსეთში მოღვაწე, მსოფლიოში ცნობილი კარდიოლოგის, ლეო ბოკერიას წარმომადგენლების მხრიდან გვქონდა. ამ დიდ მეცნიერს გაუჩნდა სურვილი, ქველმოქმედების მიზნით დახმარებოდა ჩვენს ფონდს, ჩამოსულიყო საქართველოში, ჩაეტარებინა სემინარები, გაეკეთებინა უფასო ოპერაციები... ამაზეც უარი ვთქვით. ამ დროს, ისეთი ხალხი გვეძახის „რუსეთუმეს“, დღემდე რომ რუსულ ფულზე „ზის“ და რუსეთიდან იკვებება...

ჩვენ გვესვრიან ტალახს, პრორუსებს გვეძახიან, მაგრამ არცერთ ადამიანს ჩვენი ორგანიზაციიდან და „ქართული ოცნებიდან“ არანაირი კავშირი რუსეთთან არა აქვს. პირადად მე ნამყოფიც არა ვარ რუსეთში. თვითონ კი ღიად, დეკლარირებულად, ზოგს რუსეთის პასპორტი უდევს ჯიბეში და ზოგს უზარმაზარი ბიზნესი აქვს ოკუპანტ ქვეყანაში...

ნონა ქარქაშაძე

დაკარგულ ტერიტორიებს მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკით დავიბრუნებთ

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს „საერთო გაზეთთან“ საუბარში პოლიტოლოგი გია აბაშიძე აფასებს.

- ბატონო გია, დღეს პირველი რუსული ავიარეისი შესრულდა თბილისის აეროპორტში, რასაც გარკვეული ძალების მხრიდან უარყოფითი რეაქცია და აჟიოტაჟი მოჰყვა. როგორ შეაფასებდით კრემლის ამ გადაწყვეტილებას?

- სანქცია ფრენების აკრძალვის შესახებ კრემლმა 2019 წელს დააწესა, უფრო ადრე დაწესდა სავიზო რეჟიმი ჩვენს ქვეყანასთან. ახლა კი რუსეთმა გადაწყვტა, რომ მის მიერ ერთპიროვნულად დაწესებული სანქციები მოეხსნა. საქართველოს მთავრობამ მიიღო პრაგმატული გადაწყვეტილება, დაუშვა ავიაკომპანიები და ის ბორტები, რომლებზეც სანქციები არ ვრცელდება. რასაკვირველია, ამას მოჰყვა ორმაგი სტანდარტის მქონე ნაცოპოზიციის პროტესტი, თითქოს ამით ოკუპანტს საქართველოში შემოჭრის მეტი შანსი ექნება, რაც აბსოლუტურად ალოგიკური და ირაციონალურია. თუ რუსეთს ფარული აგენტების შემოგზავნა უნდა საქართველოში, ეს თავისუფლად შეუძლიათ ლარსის სასაზღვრო-გაშვები პუნქტიდან ერევნის, ბაქოს თუ სტამბულის გავლით ავიარეისებზე... ეს სრული სისულელეა. განსაკუთრებით ფარისევლურია აგენტებზე განცხადებები ნაცოპოზიციის მხრიდან.

რადიკალებს სჭირდებათ ნებისმიერი მიზეზი საპროტესტო ტალღის ასაგორებლად, რაშიც, სამწუხაროდ, მათ მხარს უჭერენ ამერიკელი თუ ევროპელი მოკავშირეები.

აქ უკვე შემოდის ფარისეველთა მეორე ჯგუფი, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გამუდმებით ამუნათებენ რუსეთთან ურთიერთობის გამო, მაგრამ ცნობილია, რომ თავად არაერთი ევროპული თუ ამერიკული კომპანია, სხვადასხვა ე.წ. შავი ხვრელებით, დღემდე ვაჭრობს რუსეთთან და მათი მეშვეობით მილიარდობით დოლარი შედის აგრესორი რუსეთის ბიუჯეტში. ერთია ნაცოპოზიციის ფარისევლობა და მეორე - დასვლეთის ფარისევლობა რუსეთთან ურთიერთობაში. გარდა ამისა, პირდაპირი ავიარეისები და უვიზო რეჟიმი აქვს რუსეთს ევროკავშირის წევრობის კანდიდატ მოლდოვასთან, უკრაინასთან, ასევე, ისრაელთან და თურქეთთან, რაზეც, რატომღაც, უსინდისოდ ხუჭავენ თვალს.

2022 წლის აგვისტოდან პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთისთვის იმგვარი უვიზო რეჟიმის დაწესებას, რის საფუძველზეც, უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ განუსაზღვრელი ვადით დარჩნენ რუსეთის ტერიტორიაზე და იმუშაონ. არც ამაზე ჰქონია რეაქცია ევროპას. დსთ-ის წევრ ქვეყანას, მოლდოვას, რომელსაც რუსეთთან უვიზო რეჟიმი აქვს, რამდენიმე დღის წინათ, რატომღაც, ამერიკამ შეღავათიანი პირდაპირი ავიარეისები დაუნიშნა. ამ ყველაფერს ხედავს ქართველი ხალხი და, ბუნებრივია, ლოგიკურ ანალიზს აკეთებს. სახეზეა უტიფარი ფარისევლობა და თვალთმაქცობა, რაც კატეგორიულად მიუღებელია სუვერენული საქართველოს საზოგადოებისთვის.

- ავიაკომპანია „აზიმუტმა“ ქვეყნების სიიდან აფხაზეთი და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი ამოიღო. ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რის გამოც წერთ, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცირეოდენი იმედი გაჩნდა...

- რასაკვირველია, ეს ფაქტი იმედის მცირედ ნაპერწკალს აჩენს. რუსულმა ავიაკომპანია „აზიმუტმა“, რომელიც არ არის სანქცირებული ევროპისა და ამერიკის მხრიდან, თავის ვებ-გვერდზე ე.წ. სამხრეთ ოსეთს და ოკუპირებულ აფხაზეთს მიმღებ ქვეყნად საქართველო დაუწერა, რითაც სეპარატისტებში ბუნებრივი გულისწყრომა გამოიწვია.

რუსეთიდან მოდის პოლიტიკური სიგნალები ღია ფორმატში, რომ უნდა დათბეს ურთიერთობა და ყველაფერზე მოლაპარაკება შეიძლება. ჩნდება იმედი, რომ იქნებ, ადრე თუ გვიან, გაიხსნას ის ფანჯარა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება პირდაპირი მოლაპარაკება არაკონტროლირებადი ტერიტორიების დეფაქტო ხელისუფლებებთან და რუსეთთან.

კიდევ ერთი პოზიტიური სიგნალი ის არის, რომ დაიწყო საუბარი მოსკოვში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე. რკინიგზა, მოგეხსენებათ, აფხაზეთზე გადის. აფხაზეთიდან შემოდიოდა საქართველოს ტერიტორიაზე და შემდეგ გადიოდა სომხეთში. სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან, როცა საოკუპაციო ხაზებს მიღმა მცხოვრებ ადამიანებთან დაიწყება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, იქ უკვე გაქრება სტერეოტიპები და ცრუ წარმოდგენები ერთმანეთის შესახებ. საქართველოს მთავრობა ურყევად ამბობს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, მშვიდობიანი პოლიტიკით შევძლებთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება, იგულისხმება იქ მცხოვრები ხალხის გულისა და გონების დაბრუნება საქართველოს წიაღში, რაც უმთავრესია. ეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი იძლევა იმის საშუალებას, ვთქვათ, რომ ადრე თუ გვიან, დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს მშვიდობიანი გზით.

- რუსული ავიაკომპანიის მიერ საქართველოში პირველივე რეისის შესრულების შემდეგ ატყდა აჟიოტაჟი, რომ თითქოს ჩვენთან სერგეი ლავროვის ქალიშვილი ჩამოფრინდა ნათესავის ქორწილზე დასასწრებად. სასტუმროს ოფიციალური განცხადების მიუხედავად, რომ ინფორმაცია ყალბია, ოპოზიცია ირწმუნება, რომ „გვატყუებენ“...

- ნაცმედია, ე.წ. ჟურნალისტები მუდმივად იგონებენ დეზინფორმაციას და ავრცელებენ საზოგადოებაში. ვინ ლაპარაკობს საქართველოს ხელისუფლების პრორუსულობაზე? - ელენე ხოშტარია, რომელიც რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდება; კობა ნაყოფია, რომელსაც აქვს რუსული პასპორტი; გიორგი ვაშაძე, რომელსაც რუსი მდგმურები ჰყავს სახლში და კიდევ ბევრი ადამიანია „ნაციონალურ მოძრაობაში“, ვისაც რუსული პასტორტი და ბიზნესი აქვს ოკუპანტ ქვეყანაში.

სწორედ ამიტომაც არის, რომ ბოლო 10 წელია, ვერც ერთ არჩევნებში ვერ გაიმარჯვეს პატიოსნად, მუდამ ცდილობენ არჩევნების დისკრედიტაციას, მაგრამ არ გამოსდით, რადგან ჩამოდიან უცხოელი დამკვირვებლები და რეალობას ხედავენ. ამიტომ, მათი ერთადერთი გზა დესტაბილიზაცია, ქუჩის აქციები, სიტუაციის აყირავებაა... რაშიც ასევე წარუმატებლები არიან.

- ვაშაძის გვარი ფიგურირებს ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეში. რა ხდება რეალურად?

- გამოძიება მიმდინარეობს ევროპულ ქვეყნებში, გერმანიის ლიდერობით, აგროვებენ სამხილებს და საქართველოს პროკურატურა თანამშრომლობს მათთან. ასეთ დროს გამომძიებლები საჯაროდ არც პარლამენტს, არც მედიას, არც პოლიტიკოსებს, არაფერს ეუბნებიან, სანამ სასამართლოში მყარ სამხილებს არ მიიტანენ. როგორც ჩანს, კეზერაშვილის ადვოკატებმა გადაწყვიტეს, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, თუ რა სამხილები და ბრალდებებია მათი კლიენტის, ძებნილი ოლიგარქის, კეზერაშვილის წინააღმდეგ. ამიტომ გადაწყვიტეს იოლი ხრიკის გამოყენება და მოღალატე გიორგი გახარიას პარტიამ წამოაყენა იდეა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ! რატომ უნდა გამოითხოვოს საქართველოს პარლამენტმა ევროპელი სამართალდამცავებისგან ინფორმაცია, როცა საქმის გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა? - ეს არის მარტივი ვირეშმაკობა კეზერაშვილისა და მისი მარიონეტების მხრიდან, რათა მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია პარლამენტის მეშვეობით. თუმცა, როგორც მმართველმა პარტიამ განაცხადა, დასრულდება გამოძიება და ყველაფერს იტყვის სასამართლო. ევროპულ სასამართლო იქნება ეს, თუ ქართული - ვერც კეზერაშვილი და ვერცერთი მისი თანამზრახველი ამ ავაზაკურ მაფიაში, პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

- ახლახან განაცხადა ირაკლი კობახიძემ, რომ ორგანოში „ნაციონალური მოძრაობის“ არც ერთი წარმომადგენელი არ უნდა იყოს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ კოჰაბიტაცია საბოლოოდ დასრულდა?

- სამწუხაროდ, კოჰაბიტაცია ისევ და ისევ დასავლელი პოლიტიკური აქტორებისგან იყო თავს მოხვეული, რადგან იმ დროს, „ქართული ოცნება“ პარტიულად თუ პოლიტიკურად, არც ისეთი ძლიერი იყო. როდესაც პარტია მოძლიერდა, გაიზარდა მისი მხარდაჭერა, განსაკუთრებით სამშვიდობო პოლიტიკის გატარების გამო, საქართველოს ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვანად გადაწყვიტა, თავსმოხვეული დასავლური ფუჭი ინიციატივები უკუაგდოს. ევროპარლამენტარების განცხადებები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ „ბიბლიურ ჭეშმარიტებად“ მიიჩნეოდა, აბსოლუტურად მიუღებელია სუვერენული ქვეყნისთვის, ისევე, როგორც ამერიკის ელჩის, დეგანისა და ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსების მავნებლური განცხადებები.

„არა ნაცებს, არცერთ ორგანოში“ ნიშნავს, რომ, როგორც სხვა დროს, 2024 წლის გადამწყვეტ არჩევნებზეც, ხალხმა უნდა უთხრას მათ უარი. არათუ მთავარ ოპოზიციურ პარტიად უნდა დარჩეს „ნაციონალური მოძრაობა“, სრულიად მარგინალური უნდა გახდეს, თუნდაც პარლამენტში და სხვა არჩევით ორგანოში... ეს იქნება ხალხის პასუხი. თორემ თუ ვიღაც „ნაციონალურ მოძრაობას“ ან „ლელოს“ უჭერს მხარს, ამის გამო საჯარო სამსახურიდან არავინ არავის დაითხოვს, რადგან ჩვენ გვაქვს კანონმდებლობა, შრომის კოდექსი და ახლა, ნაცრეჟიმისგან განსხვავებით, პოლიტიკური ნიშნით არავის დევნიან. თუ ვინმემ კანონი დაარღვია, ამის გამო აგებს პასუხს და არა პოლიტიკური ორიენტაციის გამო.

- როგორ ფიქრობთ, მოგვანიჭებენ თუ არა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს?

- ხელისუფლება ამბობს, რომ შანსები თანაბარია, ბევრად წინ ვართ მოლდოვასა და უკრაინასთან შედარებით, თუნდაც შარშანდელი მონაცემებით და ეს ევროკომისიამ აღიარა თავის ანგარიშში. თუ არც ამჯერად მოგვცემენ სტატუსს, ამას სათავისოდ გამოიყენებს „ნაცმოძრაობა“ და ამას მორიგი დესტაბილიზაციის მცდელობისთვის გამოიყენებს. ამიტომაც უნდა მოგვცენ კანდიდატის სტატუსი დამსახურების მიხედვით. ეს იგივეა, რომ მოსწავლემ ბეჯითად დაწერა ამოცანა, ეუთვნის მაღალი შეფასება და ნიშანს სხვადასხვა მოსაზრების გამო არ უწერენ.

- თურქეთში ახლახან ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდა, რომლის მეორე ტურიც 28 მაისს უნდა გაიმართოს. არჩევნების შედეგები მნიშვნელოვანია როგორც რეგიონისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისათვის. თქვენი აზრით, რომელ კანდიდატს რა გავლენა ექნება ქართულ რეალობაზე და ვის ანიჭებთ უპირატესობას, ერდოღანს თუ ქილიჩდაროღლუს?

- პრეზიდენტი ერდორანი რომ საქართველოს დიდი მხარდამჭერია, ეს წლებმა დაგვანახა. თურქები ბევრ რამეში დაგვეხმარნენ, არამხოლოდ ეკონომიკურად, არამედ საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზეც. უდიდესი პოლიტიკური მხარდაჭერა გვაქვს პრეზიდენტ ერდორანის ადმინისტრაციის მხრიდან. ის ფაქტი, რომ დასავლელი მემარცხენე ძალები, ე.წ. ფსევდოლიბერალები არ უჭერენ მხარს ერდორანს და ოპოზიციურ კანდიდატს ემხრობიან, ბევრ რამეზე მეტყველებს. მათ თურქეთშიც უნდათ ფსევდოლიბერალური ფაშიზმის გავრცელება, თუმცა ამას თურქი ხალხი, ბუნებრივია, არასდროს მიიღებს. ვგულისხმობ თანამედროვე ტრანსგენდერულ პოლიტიკას, ისტორიის რევიზიას, სხვადასხვა ფასეულობაზე, წარსულზე უარის თქმას, სასამართლო სისტემაში ჩარევას, ქვეყნის ხელისუფლების ვასალად ქცევის მცდელობას და ა.შ. ეს არის გლობალური ომის პარტიის, ფსევდოლიბერალების დღის წესრიგი. მაგრამ მგონია, რომ თურქეთის მოსახლეობა გადადგამს ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს და ხელახლა აირჩევს პრეიდენტ ერდოღანს. გარკვეული ძალები მას დიქტატორს უწოდებენ, მაგრამ დიქტატორულ ქვეყნებში, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ ტარდება, როცა კანდიდატებს შორის მხოლოდ 3-პროცენტინი სხვაობაა. ეს არის ნიშანი დემოკრატიულობისა. თუ ვინმეს პრობლემა აქვს როგორც თურქეთთან, ასევე უნგრეთთან, პოლონეთთან და იმ ქვეყნებთან, რომელთა ხელისუფალიც კბილებით იცავს სუვერენირტეტს, ეს უკვე ამ გლობალური ფსევდოლიბერალების პრობლემაა. ქვეყნის ინტერესები და სუვერენიტეტი არის უწინარესი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საერთაშორისო გაერთიანებებზე ფიქრი.

ნონა ჭარჭაშაძე

რეპუბლიკაში ღარიბაშვილი მაკრონსა და შოლცს შორის იჯდა, რაც შემთხვევით არ ხდება

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, პუტინის განკარგულებით რუსეთთან სავიზო რეჟიმი გაუქმდა და ფრენებიც აღდგა. ორიოდე დღის წინ პირველი რეისიც განხორციელდა, რასაც ოპოზიციის პროტესტი მოჰყვა. როგორ შეფასებთ ამ პროცესს?

— ეს მხოლოდ ფრენები კი არა, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. შესაძლოა, რუსეთს ეს ნაბიჯი იმიტომაც გადაედგა, რომ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება შეაფერხოს. რუსეთის ძალის დემონსტრირება არაერთხელ მოუხდენია. მას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ექსცესების მოწყობა თავისუფლად შეუძლია, მათ შორის, საქართველოშიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ახლა რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში თაფლაკვერისა და მათრახის პოლიტიკას იყენებს. საქართველოსთან მიმართებით მან თაფლაკვერი გამოიყენა, მოლდოვას შემთხვევაში კი — მათრახი, სადაც 14 მაისს მოლდოველებს, პრაქტიკულად, გაგაუზების ავტონომია აუჯანყა. იქ საკმაოდ რთული ვითარებაა – 14 მაისს არჩევნები ჩატარდა და პრორუსი ლიდერი აირჩიეს. როცა პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია გეოპოლიტიკური ვითარება და ის ნაბიჯები გავითვალისწინოთ, რასაც რუსეთი ჩვენი მეზობლების მიმართულებით დგამს. დააკვირდით, რა ვითარებაა სომხეთში. იქ ქვეყანაც და ხელისუფლებაც ურთულეს სიტუაციაში იმყოფება. ეს ყველაფერი ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მოგვწონს თუ არა რუსეთი, ან მოგვწონს თუ არა დასავლეთი, ამ ეტაპზე მეორეხარისხოვანია, რადგან დღეს ლაპარაკი გადარჩენაზეა.

ასე რომ, ფრენების აღდგენა პოლიტიკური ბრძოლის მეთოდია. რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია, ფრენები ისევ აკრძალოს. მგონია, რომ ლავროვის ოჯახის წევრების ქორწილის საქართველოში გადახდა პროვოკაცია იყო. ზოგადად, მოწინააღმდეგის პროვოცირება იმისთვის, რომ მან შეცდომა დაუშვას, პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ბოლო 30 წლის განმავლობაში იმდენი შეცდომა დავუშვით, რომ ახლა ამის უფლება აღარ გვაქვს, არც გადაჭარბება ივარგებს. ოქროს შუალედი უნდა დავიცვათ.

— რუსეთთან სავიზო რეჟიმი სააკაშვილმა 2008 წელს ცალმხრივად გააუქმა. რუსებს აეროპორტში თავად ხვდებოდა ქართული ღვინითა და სხვა საჩუქრებით. ახლა რატომ იქცა ოპოზიციისთვის იგივე ნაბიჯი განგაშის თემად?

— წინა ხელისუფლებამ უამრავი შეცდომა დაუშვა. შეგვიძლია, ბევრი მაგალითი გავიხსენოთ, თუ როგორ იქცეოდნენ რუსეთთან მიმართებით სააკაშვილი და ის ადამიანები, რომლებიც დღეს აქციებზე დადიან. ძალიან კარგად მახსოვს, ვინ რას აკეთებდა იმ პერიოდში — ერთი ნაწილი, ძირითადად, ჩუმად იყო, მეორე კი — რუსეთის ქმედებებს ამართლებდა. დღეს იგივე ადამიანები გვეუბნებიან, რომ თურმე ახლა სულ სხვა კონტექსტია. რა გამოდის — უკრაინის ომი ყოფილა მთავარი და 2008 წლის აგვისტოს ომი არაფერი იყო?! ჩვენი დაკარგული ტერიტორიების 20% არაფერს ნიშნავს?! საბედნიეროდ, საზოგადოებამ ეს ყველაფერი სწორად შეაფასა. ამიტომაც არის ნაცების აქციები საკმაოდ მცირერიცხოვანი.

— აშშ-მ გაგვაფრთხილა, ფრენების აღდგენას შეიძლება სანქციების დაწესება მოჰყვეს, მათ შორის, საქართველოს აეროპორტებზეცო...

— დიახ, ამ კუთხით საფრთხე ნამდვილად არსებობს. ამიტომაც ვახსენე, რომ ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ. წარმოიდგინეთ, ტურისტული სეზონის წინ, ჩვენს აეროპორტებს, განსაკუთრებით კი, ქუთაისის და ბათუმისას სანქციები რომ დაუწესდეთ. როცა პროვოკაციაზე ვსაუბრობთ, უნდა დავფიქრდეთ: ვაითუ ფრენები სპეციალურად აღდგა, რათა საქართველოს საავიაციო სისტემას სანქციები დაწესებოდა! ეს თუ მოხდა, დავიღუპებით, რადგან უფრო მეტად დამოკიდებულნი ვიქნებით რეგიონალურ გარემოებებზე, მათ შორის, რუსეთთან ვაჭრობაზე. ახლა ხომ მიდის ვაჭრობა, მაგრამ მერე უფრო უარეს კაბალურ მდგომარეობაში ჩავვარდებით.

— ოპოზიცია ნებადართულ ფრენებზე სანქციების დაწესებას ითხოვს. ეს რუსეთისთვის ეკონომიკური ომის გამოცხადების ტოლფასი ხომ არ იქნება?

— ოპოზიციას მიაჩნია, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა. რასაკვირველია, ძირითადი პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს, მაგრამ შენ რომ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელი ხარ, უნდა იფიქრო: რა შედეგს გამოიღებს ეს საქართველოსთვის. სამწუხაროდ, რადიკალური ოპოზიციისთვის საქართველო მეორადია. მთავარი საკუთარი კეთილდღეობაა. ამას საზოგადოებაც ხედავს და შესაბამისად იქცევა.

— ღარიბაშვილმა აღნიშნა: გამიხარდება, თუ სხვებიც მოგვცემენ უვიზო რეჟიმს და პირდაპირ ფრენებსაც დანიშნავენო...

— ეს გამორიცხულია. ზოგადად, დღეს მსოფლიოში უვიზო რეჟიმების არავჯანსაღი სისტემა არსებობს. მაგალითად, ევროპამ ძალიან იჩქარა, როცა შენგენის ზონა შექმნა, რითაც საკუთარ თავს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. დღეს ამ სენს ევროპაში ვეღარ უმკლავდებიან. მიმაჩნია, რომ ქვეყნებს შორის უნდა არსებობდეს სხვა ტიპის სავიზო რეჟიმი, რომელიც აქეთ-იქით უაზრო სიარულს გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცევდა.

— ფრენების აღდგენის შემდეგ, ოპოზიცია ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვაზე ალაპარაკდა. რეალურად, ვინ უქმნის საფრთხეს ჩვენს სუვერენიტეტს?

— ქვეყნის სუვერენიტეტს, გარკვეული ფორმით, ყველა მეზობელი საფრთხეს უქმნის. მინდა, საზოგადოებამ ერთი რამ კარგად გაიაზროს: ჩვენ ბოლომდე ჩამოყალიბებული სახელმწიფო არ ვართ. დიახ, ჩვენ უფრო ქვეყანა ვართ, ვიდრე სახელმწიფო, რადგან დადგენილი არ გვაქვს, სად გადის ზუსტად საზღვრები ჩვენს მეზობლებთან. სახელმწიფო მხოლოდ ჰიმნი და დროშა არ არის, არამედ პირველ რიგში, საზღვრებია, და თუ ამ მხრივ პრობლემა არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა სუსტია. ასე რომ, ჩვენი სუვერენიტეტი ისედაც სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას სწორედ საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაციის არქონის გამო. მოკლედ, საფრთხეებს, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყანა დგას, ახალი გამოწვევა — ფრენების აღდგენა და უვიზო რეჟიმის დაწესება დაემატა, რომლის უკანაც სულ სხვა პროვოკაციული აზრი დევს. სოციალურ ქსელებში მონიტორინგს ვაწარმოებ და იცით, რას წავაწყდი? — საზოგადოების ერთ ნაწილს უცებ ილუზია გაუჩნდა, რომ რუსეთი ტერიტორიებს დაგვიბრუნებს. მოსკოვის პოლიტიკურ ელიტას კარგად ვიცნობ. 2018 წლამდე ქართულ-რუსული მოლაპარაკებების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საექსპერტო დონეზე, თავად ვიყავი. რუსული მხარე მუდმივად ცდილობდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე არ გვესაუბრა. ახლა თუ რამე შეიცვალა, ამის არ მჯერა. გავიაზროთ, რომ რუსეთის ნაბიჯი პროვოკაციაა და ამ გამოწვევას ისე უნდა გავუმკლავდეთ, რომ ჩვენი ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული.

— ამერიკის ელჩმა ნიშნის მოგებით გვითხრა: პუტინს საქართველოზე გული რომ შესტკიოდეს, აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჯარებს გაიყვანდაო...

— არ მიყვარს, როცა რომელიმე ქვეყნის ერთი წარმომადგენელი სიტუაციას არევს და ამის გამო იმ სახელმწიფოს მაშინვე გადახაზავენ. ასე არ ივარგებს. აშშ-მ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში გული დაგვწყვიტა, საქართველოსთვის ბოლო 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა, თუნდაც ფინანსური კუთხით. მე არ მომწონს არც ამერიკული, დასავლური იდეოლოგია და არც ის ფასეულობები, რომლის დამკვიდრებასაც ისინი ცდილობენ. ბევრმა პოლიტიკურმა ფიგურამ, რომელიც აშშ-მ ჩვენთან ელჩად გამოგზავნა, საქართველოს პოლიტიკური სურათის ჩამოყალიბებაში საკმაოდ უარყოფითი როლი ითამაშა. მაგალითად, მეთიუ ბრაიზამ და სხვებმაც. კელი დეგნანმა საერთოდ დაკარგა ორიენტირი — სად არის და რას აკეთებს. მაგრამ ეს საქართველოს წინაშე აშშ-ს, ასევე, დასავლეთის, ევროკავშირის დამსახურებას არ ცვლის. ამ ურთიერთობებს აქვს როგორც პლუსები, ისე მინუსები. თავის დროზე რუსეთმაც ითამაშა დადებითი როლი მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის დივიდენდების მოტანით, იგივე, აჭარის თემასთან, საქართველოს ტერიტორიების დაბრუნებასთან დაკავშირებით. მაშინ იმპერია ამ ტერიტორიებს თავისთვის იბრუნებდა, საბოლოოდ კი ეს საქართველოს დარჩა და იქ ქართველები ცხოვრობდნენ. კი ბატონო, ძალიან კარგად ვიცი, როგორ მიგვატოვა დასავლეთმა 1921 წელს და როგორ მოილაპარაკეს რუსეთთან ჩვენს ზურგს უკან, რათა ერთა ლიგაში არ მივეღეთ. ყველაფერი გვახსოვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არსებულ ვითარებაში არ ვეცადოთ ამ ორი პოლიტიკური ძალის ცენტრს შორის ოქროს შუალედის პოვნას, რაც ჩვენს ძალებშია.

— ბატონო მამუკა, გავრილოვმა, შემდეგი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა იქნებაო. ეს რაში წაადგება საქართველოს?

— დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ასე მარტივად ვერ მოხდება. თუ დავინახავთ პერსპექტივას, რომ ამ ნაბიჯით ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი დაიძვრება, მაშინ ამ ურთიერთობების აღდგენა გასაგები იქნება. სხვა მხრივ არ მესმის, რას გვაძლევს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა?! როგორც აღვნიშნე, დიდი გეოპოლიტიკური ჯახი მიდის. მესამედ ვიმეორებ, მაგრამ მინდა, გავიაზროთ, რომ ჩვენ ოქროს შუალედი გვჭირდება და არა ზედმეტი, მეტიჩრული ნაბიჯების გადადგმა. რუსულმა მხარემ პროვოკაციული სივრცე შექმნა, ჩვენ კი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სახის შენარჩუნებას უნდა ვეცადოთ. მოდი, ეს ნაბიჯი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე გამოვიყენოთ.

— ტერიტორიების დაბრუნება მოლაპარაკების, დიალოგის გზით არ უნდა მოხდეს?

— რასაკვირველია, მაგრამ ამისთვის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა აუცილებელი არ არის. მთავარია, ისეთი დიალოგის რეჟიმი შეიქმნას, რომელიც დაგვანახვებს, რომ ეს საკითხი დაიძრა. რუსეთმა თავისი იდიოტური პოლიტიკით სამხრეთ კავკასია დაკარგა, რასაც ჩვენი ოპოზიცია მიესალმება. დღეს სამხრეთ კავკასიაში, ნელ-ნელა, ჩვენთვის უცხო ცივილიზაციური გავლენები ძლიერდება, რაც კარგი ნამდვილად არ არის. ჩვენ სამხრეთ კავკასიაში ბალანსის პოლიტიკა გვაწყობდა, რაც სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის არსებობდა. ახლა რუსებმა იმდენი ქნეს, რომ მრავალი წლის პაუზის მერე, თურქეთი სამხრეთ კავკასიაში სამხედრო პოლიტიკურ სივრცეში დააბრუნეს. დღეს ნანობენ, მაგრამ უკვე გვიანია. სომხეთი, პრაქტიკულად, მტრის ანაბარა მიატოვეს.

— რაც შეეხება რკინიგზის გახსნას, რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?

— დღეს რკინიგზის გახსნის აუცილებლობას ვერ ვხედავ. მით უმეტეს, რომ რუსეთმა, აზერბაიჯანის გავლით, ჩრდილოეთი-სამხრეთის მარშუტი ირანისკენ და მერე ინდოეთისკენ, შესანიშნავად აამუშავა. აზერბაიჯანს ხომ არავინ საყვედურობს: რატომ გადის შენს

ტერიტორიაზე ირანთან და ინდოეთთან რუსეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალიო. ჩვენ სამხრეთ კავკასიაში დასავლეთისთვის ყოველთვის ფორპოსტი ვართ. აფხაზეთის რკინიგზა ამჯერად არაფერს გვაძლევს. რუსეთის მხრიდან სარკინიგზო ხაზი თუ გაიხსნა, ეს, უბრალოდ, კაპრიზი იქნება და არა რეალური საჭიროებიდან გამომდინარე ქმედება. ეს საკითხი სომხეთსაც დალაგებული აქვს ფოთის პორტიდანაც, ირანიდანაც და ლარსიდანაც. მით უმეტეს, რომ ლარსის შემცვლელი გზა დღე-დღეზე გაიხსნება. მეორე მხრივ, ეს შეიძლება აფხაზეთის ეკონომიკისთვის ხელშეწყობას და სხვა გეოპოლიტიკურ ვითარებებს უკავშირდებოდეს. ამ ეტაპზე ეს ნაბიჯი არ უნდა გადავდგათ.

— როგორ შეაფასებთ ღარიბაშვილის ვიზიტს რეიკიავიკში?

— რეიკიავიკში, სადაც ევროპის ქვეყნების სამიტი ჩატარდა, ყველა ადგილი, თუ ვინ სად უნდა მჯდარიყო, წინასწარ გაწერილი იყო. ვუყურებ ტელეეკრანს და რას ვხედავ? — ღარიბაშვილი მაკრონსა და შოლცს შორის ზის. ვამბობთ, რომ საქართველო დიდი მნიშვნელობის პატარა ქვეყანაა, რომელიც ევროპაში განსაკუთრებულ ამინდს ვერ ქმნის. ხომ შეიძლებოდა ღარიბაშვილის ადგილზე, მაგალითად, შვედეთის ან ესპანეთის ხელმძღვანელი მჯდარიყო. მაგრამ არა — იქ ღარიბაშვილი იჯდა. ე.ი. ხომ უნდა მივხვდეთ, რომ, მიუხედავად ზედმეტი ტლიკინისა, რის უფლებასაც ზოგიერთი ევროპელი დეპუტატი საკუთარ თავს აძლევს, ღარიბაშვილი მაინც შოლცსა და მაკრონს შორის ზის. მაყურებელი ხომ უნდა მიხვდეს, რომ ეს შემთხვევით არ ხდება.

მთავარი ის კი არ არის, ფოტიგა ან კუბილიუსი რას ილაპარაკებენ, არამედ, შედეგი რა გვაქვს. საქართველომ ყველა დოკუმენტს, რაც მნიშვნელოვანი იყო, ხელი ხომ მოაწერა?! ან, განა უკრაინას გვერდით არ დაუდგა? არც ამ დოკუმენტებზე ჩვენი ხელმოწერა მოსწონთ მოსკოვში. მოსკოვი ცდილობს, დასავლეთი საქართველოს მოსწყვიტოს. გამოუვა თუ არა ეს, ქართულ საზოგადოებასა და ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

— თქვენ ახსენეთ, ღარიბაშვილი რეიკიავიკში მაკრონის გვერდით იჯდაო, მაშინ რატომ გაანაწყენა ევროპა უნგრეთში ჩვენი პრემიერის გამოსვლამ?

— დიახ, სოციალისტებმა ამ გამოსვლის შემდეგ „ქართული ოცნების“ გარიცხვა გადაწყვიტეს. თუმცა, აქ პარტიულ კუთვნილებაში არ არის საქმე. რიგი

ადამიანები სხვადასხვა პარტიებში არიან განაწილებულნი, მაგრამ ფსევდოლიბერალურ პლატფორმაზე დგანან. ზოგი კი ამავე პარტიაშია, მაგრამ კონსერვატორულ პოზიციაზე დგას. ევროპაში, აშშ-ში კონსერვატორებსა და ფსევდოლიბერალებს შორის დიდი ბრძოლა მიდის. უნგრეთის კონფერენციას ძალიან გავლენიანი პოლიტიკოსები ესწრებოდნენ. იქ ასევე იყვნენ გერმანული არისტოკრატიის მნიშვნელოვანი წარმომადგენლებიც, რომლებიც გერმანულ შიდა პოლიტიკაში სერიოზულ ამინდს ქმნიან. გერმანიაში მიწებს არისტოკრატები ფლობენ და სოფლის მეურნეობაც მათ ხელშია. მე შეხვედრა მქონდა ამერიკელ კონსერვატორებთან, რომლებიც იმ პოზიციას, იდეებს იზიარებენ, რაც ბუდაპეშტში გაჟღერდა. ამერიკაში დიდ იმედებს ამყარებენ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ახალგაზრდა ლიდერზე რონ დესანტისზე. მან და ტრამპმა პრეზიდენტობის კანდიდატობა ვერ გაინაწილეს.

— თურქეთში მალე მეორე ტურია. თუ იქ დასავლეთმა რევოლუციის მოწყობა მოახერხა, ჩვენთანაც იგივეს ხომ არ შეეცდება?

— დასავლეთი თურქეთში არეულობის მოწყობას ვერ მოახერხებს. მეორე ტურში ერდოღანი მოიგებს. ოპოზიციამ არასწორი ნაბიჯები გადადგა, ბევრი შეცდომა დაუშვა და, საბოლოო ჯამში, სიტუაციას ვერ შეცვლის. ერდოღანი სერიოზული პოლიტიკოსია. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუდმივად პრობლემებს ქმნის, საგარეო პოლიტიკაში შეცდომა არ დაუშვია. ის იმდენად მოქნილია, რომ შეუძლია დილით ისლამისტი იყოს, საღამოს — ნაციონალისტი. ოპოზიციონერ კანდიდატს, ქემალ ქილიჩდაროღლუს რაც შეეხება, იგი ათა თურქის გზის გამგრძელებელია. რასაკვირველია, ის უფრო დასავლეთზე ორიენტირებული, სეკულარული სახელმწიფოს მომხრეა, მაგრამ

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას, ამ კუთხით ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთ მხარეს დგანან — ეს თურქეთის ინტერესების სფეროა. არჩევნებში ოპოზიციონერი კანდიდატი თუ გაიმარჯვებს, ამით განსაკუთრებული არაფერი შეიცვლება. უბრალოდ, ხელისუფლებაში მყოფი ოპოზიცია, დასავლეთს უფრო მეტ ანგარიშს გაუწევს. სულ ეს არის.

— რას იტყვით ჩვენი პრეზიდენტის მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებზე, თან 31 მაისს ევროპარლამენტის წინაშე უნდა წარსდგეს. რა მოლოდინები გაქვთ?

— არავითარი მოლოდინები არ მაქვს. ზურაბიშვილს 90-იანი წლების დასწყისიდან ვიცნობ, როცა თბილისში ჯერ არავინ იცნობდა. მისი რესურსი ძალიან კარგად ვიცი. იგი ასე მარტივი და უბრალო არ გახლავთ, როგორც ვიღაცებს წარმოუდგენიათ. როგორც ჩანს, არსებობს გარკვეული პირობები, რისი დარღვევაც მას არ შეუძლია და იძულებულია, სხვისი თამაშის წესებით ითამაშოს.

— ოპოზიციაში დიდი განხეთქილებაა, ხუთმა ოპოზიციონერმა მხარი ხელისუფლების მიერ წარდგენილ კანდიდატს დაუჭირა...

— ვიცი, რაც მოხდა. ის, რომ ოპოზიცია არამყარი, კონიუნქტურული და იმწუთიერ სარგებელზეა დამოკიდებული, ამ ვითარებამ მშვენივრად გამოაჩინა. პარტიის შიგნით რაც ხდება, თვალნათლივ ჩანს. მე თუ მკითხავთ, მელია, ხაბეიშვილთან შედარებით, სპინოზა იყო. თუმცა, ვიღაცას დასჭირდა, რომ ის თავმჯდომარე აღარ ყოფილიყო.

— სტრასბურგის ვერდიქტი რაზე მეტყველებს?

— კარგი კითხვაა. ერთ რამეს გეტყვით: სტრასბურგის პოლიტიკური კონიუნქტურა დღეს მსოფლიო და გეოპოლიტიკას წარმართავს. პოლიტელიტის წარმომადგენლებს რომ მოენდომებინათ (მათ ვგულისხმობ, ვინც საქართველოს მიმართ რეალურ პოლიტიკას ქმნის), შეეძლოთ, საქმე იქამდე მიეყვანათ, რომ იმავე პოლიტიკური კონიუნქტურის აუცილებლობიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მიშას საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის გადაწყვეტილებას გამოიტანდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მავანის ამოცანაა, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ავტორიტეტი არ შეირყეს!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქართულ მწერლობას დღეს ილიას მკვლელების შთამომავლები კლავენ

ᲘᲮᲔ.

დოვებენ, მომდევნო წელს ეს ნომინანტები თავად ხდებიან ჟიურის წევრები და ახლა ისინი აჯილდოვებენ მათ, ვინც წინა წელს ჟიურის წევრი იყო. კარუსელი ტრიალებს ისე, როგორც ციყვი ბორბალში.

— ბატონო ზაალ, მწერლების ნაწილი ამბობს, რომ პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიონ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— პოლიტიკა ჩვენი ცხოვრების ნაწილია. თუ პოლიტიკას გაემიჯნები, მაშინ გამოდის, რომ ცხოვრებას უნდა გაექცე. გავიხსენოთ ყველაზე დიდი პოლიტიკოსი, ვინც ქართველებს გვყავდა — ილია ჭავჭავაძე. ყველამ ვიცით, როგორი მწერალიც იყო. ავადსახსენებელი, მეტისმეტად ოდიოზური, სულგაყიდული ბერძენიშვილის შეფასებებს ნუ დავეყრდნობით. იგი სპეცოპერაციის ერთ-ერთი ლიდერია, რომლის მიზანია ქართული სიწმინდეები გააბითუროს და ჭუჭყში, ლაფში ამოსვაროს.

— მსოფლიო თანამედროვე ტენდენციები რა გავლენას ახდენს ქართულ კულტურაზე, მწერლობაზე....

— ქართული მწერლობა ცოტა გაორებული, გაოგნებულია, შესაძლოა, გარკვეული დუღილის პროცესიც მიდის. მწერალი დამკვირვებელია, იგი მოვლენებს აკვირდება და დასკვნების გამოტანას არ ჩქარობს. დღეს თავად მსოფლიოს უდგას გადარჩენის პრობლემა. ერთ დოკუმენტურ ფილმს ვუყურე, რომელმაც შემზარა: ამერიკის ერთ-ერთ ვულკანზე იყო საუბარი, რომელიც, თუ გააქტიურდა და ამოიფრქვა, მთელ ამერიკას გადაფარავს, მერე კი დანარჩენ მსოფლიოს მოედება. რამდენი ასეთი ვულკანია მსოფლიოში?

— მწერლის ტიტული ბოლო დროს ადვილი საშოვარი გახდა...

— ეს ტიტული არ გაიაფებულა, პირიქით, ასე ვიღაცებმა ჩათვალეს. გეტყვით, პრობლემა რაც არის: პენსიაზე გასული დიასახლისები, მამაკაცები სახლში ჯდომით, შვილიშვილების მოვლით დაიღალნენ, იფიქრეს, რა გავაკეთოთო და გადაწყვიტეს, ჩვენც მწერლები გავხდებითო, დასხდნენ და წერა დაიწყეს. უბედურება ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ამ ნაწერების წიგნად გამოცემა, მაღაზიებში შეტანა დაიწყეს. ასეთი „მწერლები“, როგორც წესი, მხოლოდ წერით არ კმაყოფილდებიან, მერე წიგნი უნდა გამოსცენ, გაყიდონ, მანამდე წარდგინება გააკეთონ აუცილებლად დიდ აუდიტორიაში, რომელსაც ნათესავები, მეზობლები შეავსებენ. იქიდან თითქმის გენიოსები გამოდიან და სჯერათ, რომ მსოფლიო მათ გარშემო ტრიალებს. თანაც, უნიჭოებს ერთი საოცარი თვისება აქვთ — ერთმანეთს ვერცხლისწყალივით ეკვრიან, ერთიანდებიან და უკვე საშიშ ძალას წარმოადგენენ, რადგან ნიჭიერის დათრგუნვა, გატეხვა, მისი ჩაჩოჩების მცდელობა ადვილად შეუძლიათ. ამიტომაა, ეს ყველაფერი საშიში. ისინი მწერლები კი არა, არამედ წერას ატანილი ხალხია.

— თანაც ასეთ მწერალს გამოუჩნდება ახლობელი ბიზნესმენი, სპონსორი, რომელიც წიგნს გამოუცემს და, თქვენი თქმისა არ იყოს, მერე თავი გენიოსი ჰგონია. გამოდის, ნამდვილი მწერლობა მაკულატურამ ჩაანაცვლა?

— ეს მწერლები ასტომეულებს აქვეყნებენ. წარმოგიდგენიათ, მურმან ლებანიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ანა კალანდაძეს ასტომეულები რომ გამოეცათ. თან ეშმაკობასაც მიმართავენ — წიგნს დიდი შრიფტით ბეჭდავენ. რომელია ბალზაკი ან ჰიუგო, გამაგებინეთ, ერთი. შოთა რუსთაველს მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა დაწერილი.

ბოლოს მინდა, „საერთო გაზეთს“, თქვენს ერთგულ მკითხველებს, სრულიად საქართველოს ჩვენი პატრიარქის, ილია მეორის შეგონება შევახსენო: **ვიბრძოლოთ ჩვენი გმირი წინაპრების დარად, რათა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სულებში და შემდეგ ჩვენ გარშემო საქართველო გადავარჩინოთ!**

თამარ შველიძე
555 23 28 24

კერკეტი ბიჭები სამეზობლოდან და კერკეტ ბრძენზე ჩამოკიდებული საქართველო

„ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია დიდი ხნის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს „დაეშის“ ე.წ. ლიდერს, კოდური სახელით აბუ ჰუსეინ ალ-ყურეიშის. ამას აქ პირველად ვამბობ. ეს ადამიანი ნეიტრალიზებულია სადაზვერვო ორგანიზაციის მიერ 29 აპრილს ჩატარებული ოპერაციის დროს. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას ტერორისტულ ორგანიზაციებთან ყოველგვარი გარჩევის გარეშე“, — თქვა ერდოღანმა.

ის, რომ ერდოღანი პრეზიდენტად აირჩიონ, რა მოხდება, გიფიქრიათ? დაახლოებით 23 წლის წინათ მითხრა ცხონებულმა ვახტანგ გოგუაძემ: ნინო, ღმერთმა არ ქნას, ეს ორი დევი საქართველოში შეებან ერთმანეთს, თორემ ჩვენი ხსენება აღარ იქნება, სამუდამოდ გავქრებითო. არ შეიბნენ აშშ და რუსეთი საქართველოში, რადგან „მცირე მიწა“ იყო და კიდევ მრავალ მიზეზთა გამო უკრაინაში გადაინაცვლეს...

არ გვწირავს ღმერთი და ჰოი, საოცრებავ! მე, ერთი რიგითი ქართველი, ქრისტიანულად ვლოცულობ მუსლიმან ერდოღანზე, რომ ჯანმრთელად იყოს, და გაიმარჯვოს თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, რადგან მნიშვნელოვანწილად მასზე ჰკიდია ჩემი სამშობლოს უახლოესი მომავლის კეთილდღეობა!

დახედეთ რუკას, რომელიც ერდოღანის ხელისუფლების ოპოზიციის კანდიდატს უკავია ხელში. როგორ „კარგად“ აქვთ დაგეგმილი მას და ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“ ისტორიული დიდი აბრეშუმის გზის მარშრუტი — ფსონი სომხეთსა და ირანზეა დადებული, აღარაფერს ვიტყვი მის საემიგრაციო პოლიტიკაზე და სხვა საკითხებზეც, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არანაირად არ არის სასურველი საქართველოსთვის. ეს კანდატი ხომ ის ქემალ კილიჩდაროღლია, რომელსაც ბებია ეთნიკური სომეხი ჰყავს და მისი წინაპრები ირანიდან არიან... აი, სწორედ ამიტომ ვგულშემატკივრობ ერდოღანს...

თურქეთის სახელისუფლებო ექსპერტმა ჰასან გიულმა რომ განაცხადა, გასული წლის მარტში (24 თებერვალს დაიწყო ნატო-რუსეთის ომი უკრაინაში), თურქეთის ხელისუფლებას დახურულ შეხვედრებზე მთელი რიგი დასავლური ქვეყნები მოუწოდებდნენ, რომ დაეწყო მომზადება და შეიარაღების მიწოდება მოხალისე მებრძოლებისთვის და კორიდორის უზრუნველყოფა მესამე ქვეყნისთვის, სადაც უახლოეს კვირებში უნდა დაწყებულიყო ღია საომარი დაპირისპირება რუსეთთან. აღნიშნულ მოთხოვნას თურქეთის მთავრობის და ერდოღანის კატეგორიული უარი მოჰყვა, ვინაიდან, მსგავსი სცენარი თურქეთის ინტერესებში არ შედიოდაო.

აბა, ვინ იტყვის, რომ ხსენებულ „მესამე ქვეყანაში“ საბერძნეთი, სომხეთი, ირანი ან სირია იგულისხმებოდა და არა საქართველო? ჩაივლის საპრეზიდენტო არჩევნები თურქეთში. თუ მათი ალაჰისა და ჩვენი უფლის ნებით, თურქეთის პრეზიდენტად კვლავ ერდოღანი აირჩიეს, სავარაუდოდ, უფრო მეტ „საინტერესო“ ამბავს გავიგებთ...

დიპლომატია ის ენაა, რაც ამა-ზონის მიუვალ ადგილებშიც კი ჭრის...

საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ოფიციალური პირები საქართველოს ტერიტორიების 20%-ის მიმტაცებელი რუსეთის ოკუპანტობას ადასტურებენ, მაგრამ მტრის უფრო გადამტერებას დიპლომატიური მიდგომა ამჯობინეს და მისი დამეგობრებისკენ თუ არა, მტრობის დაცხრომისკენ აიღეს კურსი.

რაღაც მოხდა 2014 წლის მიწურულს, მაგრამ რა მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი, რაც რუსეთს უკავშირდება და ჩვენთვის ფასეულია?

ერთი შეხედვით, არც არაფერი მომხდარა — პუტინი ანკარაში ჩავიდა, ერდოღანს შეხვდა და ჟურნალისტებს განუცხადა, ერდოღანი კერკეტი ბიჭია, რომ ვუთხარი, იქნებ, ჯერ არ არის საჭირო იმის გახმაურება, რა გადაწყვეტილება მივიღეთ-მეთქი, მიპასუხა, არაფერი გვაქვს დასამალიო; რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ბევრი ინტერესი ემთხვევა ერთმანეთსო; უფრო მეტიც, თურქეთის აქტიურობის გარეშე, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა, უბრალოდ, შეუძლებელიაო; რაც შეეხება ჩრდილოეთ კვიპროსს, მოსკოვი ეცდება, დამბალანსებლის პოზიცია დაიკავოს, რადგან რუსეთს „კეთილი ურთიერთობა“ აქვს თურქეთთან, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება აქვს ჩრდილოეთ კვიპროსის მიმართაც, შეიძლება ითქვას, ბერძნებთან მეტად „განსაკუთრებულიც“ კი, რაც გაძლიერებულია რელიგიური და კულტურული კავშირებითო; რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პუტინმა პირდაპირ განაცხადა: თურქეთმა სხვის პოლიტიკურ ამბიციებს საკუთარი ქვეყნის ინტერესები არჩია და ამით დაამტკიცა, რომ ამ კუთხით ესეც ჩემსავით კერკეტიაო...

აჰა, დაწყვილებული კერკეტი ბიჭები!

ისე დაწყვილდნენ ეს „კერკეტი ბიჭები“, რუსეთ-უკრაინის (ე.წ. დასავლეთის) ომის გამო რუსეთის საგინებელი ფორუმიდან გამოსულმა ერდოღანმა პირდაპირ განუცხადა ჟურნალისტებს, დღეს პუტინის დაბადების დღეა და კი არ ვუდეპეშე, დავურეკე, როგორც ყოველთვის და ისე მივულოცეო. ხმა არ ამოუღია არავის, ვერავინ დაგმო მისი მეგობრობა პუტინთან. ისადა, თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანა ვითომ არც არის, ხომ?

როგორც ვხედავთ, საქართველოს მომავლისთვის არცთუ უმნიშვნელო რამ მომხდარა, მაგრამ ამის შესახებ სასაუბროდ არავის დაუთმია ვინმესთვის ეთერი...

დღეს საქართველოში არავინ საუბრობს იმ უახლოეს განსაცდელზე, რაც საქართველოს აუცილებლად დაუდგება, თუ თურქეთის პრეზიდენტად ისეთ ადამიანს აირჩევენ (უფრო ზუსტად, ე.წ. დასავლეთი დასვამს), რომელიც ერდოღანის საგარეო კურსიდან მკვეთრად გადაუხვევს. თითქოს ვიღაცამ აკრძალა ამის შესახებ საუბარი, არადა, რეალობა ასეთია: „მეგობარმა თურქეთმა“ რომ საქართველოსკენ სამტროდ გამოიწიოს, გამფაჩუნებელი არავინაა და თუნდაც შეაკვდი თურქეთის მილიონიან შეიარაღებულ არმიას სრულიად საქართველოვ, შედეგი რა იქნება? ვინც ცოცხალი დავრჩებით, ვდიოთ მერე ერთმანეთს „აბი“-სა და „გურჯი ხანუმის“ ძახილით...

კი, შედეგი ის იქნება, რომ ოტომანთა დინასტიის ვეზირთუხუცესებად ვერა, მაგრამ თურქეთის ხელისუფლების მაღალ წრეებში კვლავ მოხვდებიან გენეტიკური ქართველები. დიახ, ასე მოხდება... რა უშავს, იტყვის, ალბათ, ვინმე — 17 ოტომანი (ქართველი) ვეზირთუხუცესი და ასობით ქართველი ფაშა იდგა ოსმალეთის იმპერიის სამსახურშიო...

ვინ გავიხსენოთ, მხოლოდ ჯევრი და დინდინე ხანუმის სახელები საკმარისი არ არის?

1808 წელს, როდესაც სელიმ III ამბოხებულებმა მოკლეს, ქართველმა ჯევრი ხანუმმა უფლისწული მაჰმუდ II ჯერ გადამალა, მერე კი, როდესაც მიაგნეს, სხეულით გადაეფარა და უეჭველი სიკვდილისგან იხსნა. ამასობაში მაშველიც შემოესწრო და მსუბუქად დაჭრილი სასახლეს გაარიდეს. ჯევრი ხანუმმა მთელი სამეფო დინასტია გადაარჩინა და მას შემდეგ, რაც მაჰმუდ II სულთანი გახდა, ჯევრი ხანუმი მთავარ ხაზინადარად დანიშნა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბრძანება გასცა, რომ მისი გადამრჩენელი დედამისის საფლავის გვერდზე დაეკრძალათ, მის სახელზე კი სკოლა და შადრევანი აეშენებინათ...

ყირიმის ომში „ქართველი ოსმალები“ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. დინდინ ხანუმი (თავდგირიძე), რომელსაც უკვე დაკარგული ჰყავდა ვაჟი და გერი, ცხენზე ამხედრებული იბრძოდა ხმლით. როდესაც რუსების შეტევა გაძლიერებულა და ოსმალეთის მხარეს უკან დახევა დაუწყია, დინდინ ხანუმი მთელი ძალით დასტაკებია რუსებს. ამის შემხედვარე უკან დახეულებიც მობრუნებულან და ის ბრძოლა თურქებმა მოიგეს. ამ ამბავს სტამბოლამდე ჩაუღწევია და სულთანმა პირადად დააჯილდოვა გმირი „ქართველი ოსმალო“ ქალი მამაცობისთვის, მოგვიანებით კი მის ორივე ვაჟს — ოსმან ბეისა და ალი ბეის ოსმალეთის იმპერიის ფაშას წოდებები მიენიჭა...

ისტორიკოს მურად კასაბის (დედით თურქი, მამით — ქართველი) წიგნში „ოსმალო ქართველები“ იმ 1200 ქართველის ცხოვრება აქვს აღწერილი, რომლებიც სხვადასხვა რანგის თანამდებობზე მსახურობდნენ ოტომანთა იმპერიაში საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე დღემდე. აღსანიშნავია, რომ თურქები თურქებად იდენტიფიცირებულ ქართველებს „კეთილშობილ რასას“ — „კავმი ნეჯიბის“

უწოდებდნენ. ქართველებმაც ასე დაეწყეს ერთმანეთისთვის მიმართვა (რატომ უწოდებდნენ ასე, ცალკე საკითხია).

17 ვეზირთუხუცესი, 9 მეჭურჭლეთუხუცესი, 6 საზღვაო კაპიტანი, 13 სახელმწიფო მინისტრი, 173 ვეზირი, სამხედრო მმართველი, გუბერნატორი, 13 სამეფო კარის წევრი, 344 რელიგიური მოღვაწე, 34 მხატვარი და მწერალი, 488 სახელმწიფო და სასახლის ოფიციალური პირი, 23 ფაშას დედა, დედადედოფალი, „პრინცესა“ და ცოლი — არ არის მცირე ჩამონათვალი...

ვინ გამოგვიცხადა თურქეთი ისტორიულ მეგობრად და რა შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა (და აქვს), თუ დაფიქრებულა ვინმე, აი, სწორედ იმას აასრულებს ქემალ კილიჩდაროღლი!

ახლა საწუხარი ის გაგვიხდა, რომ ეს თურქი-ირანელი-სომეხი ქემალი არ მოგვევლინოს სამეზობლოში პრეზიდენტად!

ისტორიული მტრების, რუსეთისა და თურქეთის ხვევნა-კოცნაში სამუდამოდ არ გაიჭლიტოს უტვინო თუ მოღალატე „კაცების“ ხელში გამოვლილი საქართველოო, ამაზე ვწუხდით და ახლა ისიც უნდა ვინაღვლოთ, რომ რუსეთ-თურქეთის ომში არ გავებათ გეოგრაფიულად შუაში გახიდულები, თორემ ტკბილ მოგონებად გაგვახსენდება ჩვენი წინაპრების მწარედ მოსაგონებელი ბრძოლები ნახიდურთან...

თურქეთი საქართველოს ისტორიული მტერია („დიდ თურქობას“ ვერასდროს ვაპატიებ პირადად მე!) მაგრამ ერდოღანს სხვა კურსი ჰქონდა აღებული, ისეთი, თურქეთისთვის რომ იქნებოდა მისაღები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი დიდია და მრავალრიცხოვანი, საქართველოს „დაუძინებელმა მეგობრებმა“ იქაც იმარჯვეს და „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“ პრინციპით, ერდოღანს ოპოზიციად საკუთარი კაცი მაინც გამოუჩხრიკეს და ფეხდაფეხ მიადევნეს საარჩევნო ხმებით.

აშშ-ს ის არ აქვს მონელებული, სახელმწიფო გადატრიალება რომ ვერ მოუწყო ერდოღანს (უამრავი გადაბირებულ-დავერბოვკებულნაკვები თურქი ფუკასავით რომ ააცალა და საპყრობილეებში გამოკეტა) და სულ მცირე ხნით ადრე ისიც დაერთო, რომ საქვეყნოდ შეარცხვინა: „ჩვენ გაკვეთილი უნდა ვასწავლოთ აშშ-ს, განსაკუთრებით ამ არჩევნებზე. ჯო ბაიდენი იქიდან საუბრობს, ჯო ბაიდენის ელჩი ბატონ ქემალს სტუმრობს — თქვენ ხართ ელჩი! აქ თქვენი თანამოსაუბრე არის პრეზიდენტი! ბაიდენის ელჩმა ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას უნდა იცოდეს, რისი უფლება აქვს და რისი — არა! მან რატომღაც წარმოიდგინა, რომ ხელმძღვანელის როლზე დავნიშნეთ იგი თურქეთში. რადგანაც ვერ ხვდება ვერც ელჩი და ვერც მისი ადმინისტრაცია, მე შევახსენებ მათ, რომ ეს თურქეთია და აქ თამაშის წესებს ვადგენთ ჩვენ და არა ოკეანის გადაღმა ქვეყანა! დედამიწის ზურგზე ვერავინ გაბედავს და იმის უფლებას არ მივცემთ, რომ თურქეთის აწმყო და მომავალი განსაზღვროს. ეს უფლება აქვს მხოლოდ თურქ ხალხს! ბაიდენის ელჩისთვის კი ამიერიდან ჩვენთან მოსასვლელი ყველა კარი დაკეტილია! რატომ? თქვენს ადგილს გაიგებთ. თქვენ გეცოდინებათ თქვენი, როგორც ელჩის მოვალეობა! თქვენ გაიგებთ, როგორ მუშაობს ელჩი!“

სხვათა შორის, ორი წლის წინათაც „განურისხდა“ ერდოღანი აშშ-ის ელჩს და მასთან ერთად ცხრა ელჩსაც, მათი ქვეყნიდან გაძევება მოითხოვა. სასწრაფოდ უკან დაიხიეს აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, ახალი ზელანდიის, კანადის, ნიდერლანდების, დანიის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვედეთის ელჩებმა. მიზეზი თურქეთის შიდა საქმეებში მათი ჩარევის მცდელობა იყო. საქმე ეხებოდა ციხეში მყოფი თურქი ბიზნესმენის, ოსმან კავალას განთავისუფლებას, რომელსაც სახელმწიფო

გადატრიალების მოწყობის მცდელობას ედავებოდნენ.

პრეზიდენტს არც თურქეთის შსს მინისტრი ეფენდი სულეიმან სოილუ ჩამორჩა: „აშშ-ის ყველა ელჩი, როგორცკი ჩამოდის თურქეთში, ცდილობს გაერკვეს, როგორ შეიძლება თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა. ეს თურქეთისთვის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა. ისინი აწყობენ ელჩების შეხვედრებს და ცდილობენ, სხვა ქვეყნის ელჩებს რჩევები მისცენ. ამავეს აკეთებენ ევროპის ქვეყნებში — ევროპას აშშ-ის ელჩები მართავენ. მივმართავ ჯეფრი ფლეიკს: ვიცი, რომელ ჟურნალისტებთან გაქვთ ურთიერთობა. შორს თქვენი ბინძური ხელები თურქეთისგან! ყველაფერი ნათელია. მე კარგად ვიცი, რას აკეთებთ და რა ნაბიჯებს დგამთ!“ ეფენდი სულეიმან სოილუმ, ფაქტობრივად, ბრალი პირდაპირ დასდო აშშ-ს თურქეთის სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების მცდელობაში.

საქართველოს არასდროს ჰყოლია კეთილმოსურნე მეზობელი, მეგობრად რომ მიეღო საქართველო, მაგრამ მაინც, მშვიდობის დარი, არაფერია...

„მეგობარია“ მეზობელი გრიგორიანული სომხეთიც, რომელსაც რუსეთის მხარქვეშ შეყუჟვის გამო არაფერი აქვს ე.წ. დასავლეთთან საკერკეტო, მაგრამ საქართველოს ის „მოურჩენელი“ მეზობელია, რომელსაც ე.წ სომხური ლობიც ჰყავს გაღმა-გამოღმა დამცველად და ხელსაყრელ მომენტს არ გაუშვებს (არ უშვებს), რომ საქართველოს მიწა მიიტაცოს. როგორც გასული საუკუნის დასაწყისში, ახლაც დიდი მოთმინებით ელოდება „თავის დროს“, ლორე-ტაშირი უკვე ჩაბურჯგნული აქვს და სამცხე-ჯავახეთზე უჭირავს თვალი, ერთი თავის დაქნევა უნდა რუსეთისგან და ფეხზე ჰკიდია „მეგობარი“ ქართველები. კრებსითი მიგრანიანები, მეზობელი, რომელიც ქართველი მეზობლისთვის ზურგიდან მახვილის ჩაცემაზეა გამეცადინებული...

სომხეთისგან განსხვავებით, მეზობელი მუსლიმანური აზერბაიჯანი განცხადებებისგან თავს იკავებს, მაგრამ გეოგრაფიული საქართველოს კანჭი ამოიღლიავებული აქვს გასული საუკუნიდან და სადაც მცირე საშუალებას ნახულობს, მოცოცავს და ვითომდა მისია, ისე ითვისებს. კაცი არაა გამკითხავი — საქმე ისეა, დავით გარეჯის კომპლექსს ვეღარ ნახულობს ქართველი სრულად, უკვე საკუთარ საზღვრებში მოიქცია ოდითგანვე საქართველოს საზღვრებში არსებული რელიგიური სავანეები — ჩიჩხიტური და ბერთუბანი და არც მარნეულის (ბორჩალოს მაზრა) და ბოლნისი-დმანისის რაიონებზე იტყვის უარს... ეს ორნი მთლად „კერკეტად“ არ გამოიყურებიან, მაგრამ ერთი რუსეთის ფრთის ქვეშ და მეორე თურქეთის ფრთის ქვეშ, კაი კერკეტი კაკლები გამოდგებიან, თუ საქმემ მოითხოვა...

მთავარი მეზობელი, დიდი ტერიტორიის, დიდი ამბიციებისა და დიდი მტაცებლობის დიდი განმახორციელებელი დიდი რუსეთია. პუტინიდან დაწყებული, ნებისმიერი რუსი სამხედრო თუ პოლიტიკური პირით დამთავრებული, პირდაპირ ამბობს, რომ რუსეთს სამხრეთ საზღვრებთან არ სჭირდება NATO — მაინცდამაინც ქართულ ენაზე უნდა თქვან, რომ საქართველოშიც გაიგონ?

საქართველოს თავ-ყური ბალიშზე აქვს მიდებული და ძილბურანში ხან NATO-ზე აბოდებს, ხან — ევროოჯახსა და რაღაც დასავლურ ღირებულებებზე. რუსეთი კი მოქმედებს, გამალებული კაცისკვლაა გაჩაღებული უკრაინაში, აღარავის აღარ აინტერესებს მსხვერპლის რაოდენობა, პირდაპირ სტატისკიკაში იწერება..

რა გამოდნება NATO-ს წევრი თურქეთისა და NATO-ს მტერი რუსეთის მეგობრობიდან საბოლოოდ, ვნახავთ, მაგრამ მოცემულ მომენტში რომ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა რეგიონში, თავადვე განაცხადეს და თუ ჩვენი ინტერესები მათსას ემთხვევა თუნდაც ირიბად, რა უნდა ვქნათ?

აშშ-ისა და მისი კუდისმჭერლებით გულმიცემული ქემალ აღა რუსეთს გაენთო: „ძვირფასო რუსო მეგობრებო, თქვენ დგახართ მონტაჟის, შეთქმულებების, დიფ ფეიკ კონტენტისა და ჩანაწერების უკან, რომლებიც გუშინ თურქეთში გავრცელდა. თუ 15 მაისის შემდეგ ჩვენი მეგობრობის გაგრძელება გსურთ, თურქეთის სახელმწიფოსგან თავი შორს დაიჭირეთ!“ რა ოხუნჯი ყოფილა ეს ქემალ უსამშობლო...

აფხაზეთში რუსია, სამაჩაბლოში რუსია (სამხედრო ბაზებზეა საუბარი), მას ყირიმში ხმელეთით მისასვლელი დერეფანი ისევ სჭირდება, იქ მისვლამდე საყრდენი სამხედრო ბაზაა საჭირო. ამისთვის საუკეთესო ადგილი იყო ბათუმში და კვლავ რომ ბათუმში მოინდომოს საყრდენი ბაზის განთავსება, თურქეთს ეწყინება? — ლახმაჯუნს შეჭამენ ჯავრიან გულზე...

ყველანაირ ღობე-ყორეს ედება მავანთა მიერ პრივატიზებულ-ჩანერგილ-დავერბოვკებული ქართული მედია, ლენჩი კაჭკაჭივით ერთი და იგივე თემებს ერთსა და იმავე რესპონდენტებთან რომ განიხილავენ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხებისთვის კი არ სცალიათ (ან არ აინტერესებთ, არ ესმით და ა.შ), თორემ განგაშის ზარებს თუ არ შემოჰკრავდნენ, სიტყვად მაინც გაიმეორებდნენ პუტინის ყოფილი მრჩევლის, ანდრეი ილარიონოვის განცხადებას, რომელიც უკრაინაში შექროლებამდე ბრძანა. დავიჯერო, იმდენად უმნიშვნელო რამ თქვა, რომ გახმაურებად არ ღირდა?!

„თუ კრემლის აგრესიის შეჩერება უკრაინაში ვერ მოხერხდა, პუტინმა, შესაძლოა, იერიში სხვა ქვეყნებზეც მიიტანოს,“ — თქვა ანგელა მერკელმა. არ არის გამორიცხული, რომ პუტინმა მერკელთან საუბრისას მოსალოდნელი საგარეო ექსპანსიის საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრა და მერკელმა მისი მითითებით დაასახელა საჯაროდ ქვეყნები: უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, სერბეთი და დასავლეთ ბალკანები. დასავლეთს რთულ გამოწვევასთან უწევს შეჯახება — არასამხედრო საშუალებებით პუტინის შეჩერება არ გამოდის, რუსეთთან ღია ომი კი არავის სურს, ამიტომაც ეფარებიან უკრაინის ზურგს. მერკელის მიერ გახმოვანებული პუტინის გეგმები, შესაძლოა, გამართლდეს (თუმცა, პუტინის რუსეთს სხვაგვარადაც შეუძლია მოქცევა და ამის დასტური 10 მაისს ხელმოწერილი ბრძანებაა, რომლის კვალდაკვალ, აფხაზეთი და სამაჩაბლო, ლამის დაბრუნებულად რომ წარმოგვიდგინა...).

ავარეთ-კახეთის გზატკეცილის რეკონსტრუქცია სამხედრო ტექნიკის მიწოდების არხად რომ დასჭირდეს რუსეთის გენშტაბს (სომხეთსა და მთიან ყარაბაღში სახმელეთო დერეფანი ესაჭიროება), ამ შემთხვევაში, აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში გამავალი მილსადენები გადაიჭრება. ვინ გაუწევს მას წინააღმდეგობას, საქართველო? ნატო? რატომ? მით უმეტეს, ვხედავთ, რა სამარცხვინო ამბავიც ტრიალებს ნატო-ს თავს — 31 ქვეყანა ერთად ეომება ერთ რუსეთს და ძვრას ვერ უშვრებიან...

არ სურდათ, მაგრამ საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ კი ჩაითრია აშშ-მ ევროპის ნაწილი რუსეთთან ომში და გალაღდა თვითონ, მაგრამ რანაირად დასრულდება ახალი მსოფლიო გადანაწილება, ეშმაკმა უწყის. საკუთარი ხალხი რომ აუმხედრდა ევროპის მთავრობებს, ამას ჩვენ არ გვიჩვენებენ ჩვენი ფარჩაკი ტელევიზიები, თორემ ყველამ კარგად ვიცით და იცის.

მოკლედ, „კერკეტი ბიჭები“ გვყავს სამეზობლოში, გნებავთ, აშკარად აგრესიული, გნებავთ, ჩუმჩუმელები, ჩვენ კი ერთ უჩინარ კერკეტ ბრძენზე ვართ ჩამოკიდებული და არ ვიმჩნევთ...

როდესაც თურქეთში პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა (თუ არ მეშლება, 5%-იანი მუჰარემ ინჯე) განაცხადა, რომ ბინძური საარჩევნო კამპანიის წარმოების გამო არჩევნებს ეთიშება, მყისიერად მოჰყვა გადაძახილი სოციალურ ქსელებში, რომ ის წარმოშობით აზერბაიჯანელი ყოფილა და ჩვენი ლჟკასი (და ზოგიერთების) არ იყოს, „მგიმო“ ჰქონია დამთავრებული მოსკოვში. სოცქსელების მომხმარებლები ახმაურდნენ: „სინამდვილეში, გახოევი არის გვარადო“; „ახლა მის ხმებზე ბევრი რამ არის დამოკიდებულიო“; „ახლა გამოჩნდება, თავის დროზე სპეცსამსახურებმა როგორ იმუშავესო“; „კი, ნამდვილად „მგიმო“ აქვს დამთავრებული და საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, იმ 5%ს ერდოღანის სასარგებლოდ მიაცემინებს თავის ამომრჩეველსო“; „აბა, ერდოღანს მოუგიაო“...

დიდი ალბათობით რა „პერსპექტივა“ აქვს საქართველოს, მოკლედ ვთქვით, მაგრამ წყალწაღებული რომ ხავსს ებღაუჭება და იმედი ბოლოს ქრება, ესეც ხომ ვიცით. ეგებ, ტვინი, ხელი და ენა ერთდროულად გავანძრიოთ ყველამ ერთად და „არ გვინდა ომი!“ რესპუბლიკის მოედანზე კი არ ვიძახოთ ჰაერში, ვისთანაც არ გვინდა ომი, იმას ვუთხრათ...

მოკლედ, „კერკეტი ბიჭები“ გვყავს სამეზობლოში, გნებავთ, აშკარად აგრესიული, გნებავთ, ჩუმჩუმელები, ჩვენ კი ერთ უჩინარ კერკეტ ბრძენზე ვართ ჩამოკიდებული და არ ვიმჩნევთ...

ნინო დაუშვილი

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...



მერაბ ჯიბლაძეს წლების წინათ, „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ („აფრასიძეების საქმე“) პროცესზე შევხვდი, სავარაუდოდ, 2012 წელი იყო. პტოცესის დაწყებამდე მერაბმა შემომჩივლა: ყველაფერთან ერთად, ეს რა უბედურება დაგვმართა ამ ვიგინდარა საკაშვილმა, რად გვაქცია, ვინ ვართ ახლა ჩვენ, მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების მქონე ერი, თუ განვითარებადი ქვეყნის უბადრუკი წარმომადგენლებიო?

1992 წელს წელს, ამ ადამიანმა ამერიკელებთან ერთად „მომავლის სკოლა“ გახსნა და მალევე მიატოვა იქ მუშაობა. ძალიან გამიკვირდა, რამ აიძულა სამსახურისთვის თავის დანებება.

მერაბმა მიამბო: „მოვლინებულ ამერიკელ მასწავლებლებს ვთხოვე, რომ ინგლისური ენის პროგრამაში, რომელშიც მხოლოდ ბიბლიური მოთხრობებით იყო შედგენილი, საერო საბავშვო ლექსები და მოთხრობებიც შეეტანათ. მაგალითისთვის მარკ ტვენის მოთხრობები მოვიტანე. „მარკ ტვენი? ჩვენ ასეთ მწერალს არ ვიცნობთ“, — მიპასუხა დამწყები კლასის მასწავლებელმა. „არც ტომ სოიერი და ჰეკლბერ ფინი გაგიგონიათ?“ — ვკითხე გაოცებულმა. „არა, არც მაგ მწერლებს ვიცნობთ“, — მიპასუხა დინჯად.

ერთ წელში სკოლა მივატოვე, რადგან ჩემი კოლეგები ბაპტისტები აღმოჩნდნენ და, ფაქტობრივად, თავიანთი მრევლის გამოზრდის სურვილი ამოძრავებდათ.

ის, რომ ასეთი მდარე ხარისხის უცხოელი სპეციალისტებით გაივსო ქვეყანა, სულაც არ არის გასაკვირი — კარგი სპეციალისტები მათ იქ, თავიანთ ქვეყანაში სჭირდებათ...

განათლების რეფორმის ჩატარება აუცილებელია, მაგრამ ეს რეფორმა განათლებულმა და ჭკვიანმა ადამიანებმა უნდა ჩაატარონ და თანაც, საკუთარი ჭკუითა და გამოცდილებით და არა გადამთიელთა სულელური კარნახით!

ჯერჯერობით, მათ მიერ წარმოდგენილ კანონებს თუ გადავხედავთ, ჩვენს „რეფორმატორებს“ ჭკუათმყოფელობის არაფერი ეტყობათ“...

ბლეზ პასკალის სიტყვებია: „საკმარისია, საფრანგეთი სამასმა ინტელექტუალმა დატოვოს, რომ ის იდიოტების ქვეყნად გადაიქცესო“. ძალიან მაინტერესებს, რამდენმა ინტელექტუალმა დატოვა საქართველო, ანუ კიდევ რამდენი დაგვრჩა, როდის იქცევა საქართველო იდიოტების ქვეყნად...

იცით, რა უთხრა 1992 წელს ამერიკის საელჩოს ატაშემ, ჰაჩისინომ მერაბ ჯიბლაძეს? — „თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოსო“. მოგვიანებით, ანალოგიური რამ უთხრა პირად საუბარში საფრანგეთის ელჩმა ბერნარ ფასიემაც:L „თქვენ რად გინდათ განათლების პროგრამა, თქვენ ხომ თეთრკანიანი ზანგები ხართო“. გესმით, საიდან იწყება და სად მარხია ქართული განათლების რეფორმის რეალური ძაღლის თავი? რატომ მოსპეს ერთი ხელისმოსმით ჩვენთან არსებული ცოდნისმიმცემი განათლების გერმანული სისტემა და როგორ დაემსგავსნენ ჩვენი ახალგაზრდა თაობები აბელა სეთურის „მრევლს“? — უსწავლელი ბრბო ხომ ადვილი სამართავია...

რატომ და როგორ გახდა განათლებული, ამაყი, მდიდარი და თავმომწონე საქართველო „განვითარებადი ქვეყანა“, ვის ინტერესებში იყო მისი დაცემა და მისით ბურთაობა, ამას ხომ მკითხაობა არ სჭირდება, ხელისგულზე დევს საქართველოს უახლოესი წარსული.

უბედურება ის არის, რომ ამის დასანახად მხედველობა არ არის აუცილებელი, ისეთი სმენის განვითარებაა საჭირო, რომელიც მხოლოდ გაშალაშინებულ ტვინთან ბმაშია, ტვინის განვითარება კი ცოდნიდან მოდის... მოკლედ რომ ვთქვათ, შეკრული წრეა...

ათასი განათლების რეფორმა რომ ჩატარდეს, და ათასჯერვე იძახონ, წარმატებით ჩატარდაო, სანამ თანხვედრაში არ იქნება შედეგთან, ყოველთვის სიცრუე იქნება. კი, წარმატებული იყო და იქნება რეფორმის დამკვეთისთვის, მაგრამ როგორი წარმატებული იქნება საქართველოსთვის?

რა მოგვიტანა „წარმატებულმა განათლების რეფორმამ?“ მხოლოდ ის, რომ სრულ გაუნათლებლობამდე ერთი ნაბიჯიღა გვაკლია!

რამდენი განათლების მინისტრი გამოიცვალა საქართველომ ამ „გაუნათლებლობის რეფორმის“ შემდეგ და რომელიმეს სიტყვად მაინც თუ დასცდენია, რომ საქართველოში ჩატარებული „განათლების რეფორმა“ აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნებისთვის განკუთვნილი განათლების რეფორმის ზუსტი ასლი იყო იმ განსხვავებით, რომ საქართველოში პროფესურაც „ჩარეცხეს“?

ნამდვილად მაინტერესებს, რა არის ამ დუმილის მიზეზი, აქამდე, განათლების მინისტრის პოსტზე მყოფები, უკლებლივ ყველანი, ბრმა და ყრუები გადაგლესილი ტვინის გამო იყვნენ, თუ ყველაფერს ხედავდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო იყვნენ დამუნჯებულები?

როდესმე მაინც იტყვის ვინმე საჯარო აღსარებას, რატომ გაწირეს განათლება, მეცნიერება და კულტურა?

ნეტა, რომელი იყო მათ შორის მეცნიერი და განათლებული, ვინც განათლებისა და მეცნიერების რეფორმას ატარებდა, სერიოზულად მაინტერესებს!

რატომ წაართვეს ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების უფლება?

როგორ განსაზღვრა ქვეყნის ბედი იმ კანონებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს პარლამენტმა „მსოფლიო ბანკისა“ და სხვადასხვა უცხოური ორგანიზაციის ზეწოლით მიიღო?

აი, როგორ მოქმედებენ ნეოლიბერალები:

„...დავთესავთ ქაოსს და შეუმჩნევლად გავუყალბებთ მათ ფასეულობებს და იძულებულს გავხდით, ირწმუნონ ისინი. ამისათვის მოვძებნით თანამოაზრეებს, მოკავშირეებსა და დამხმარეებს. ერთმანეთის მიყოლებით გათამაშდება უდიდესი უბედურება დედამიწის ყველაზე დაუმორჩილებელი ხალხის თვითშეგნების საბოლოო და შეუქცევადი გაქრობისა;

ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვშანთავთ მათ ყოფით რაობას. განვაცალკევებთ მხატვრებს. გავუქრობთ სახვითი ხელოვნებით დაკავების სურვილს და იმ არსის ძიებისასაც, რასაც ხალხთა მასების სულის სიღრმეში აქვს ადგილი. მწერლობა, თეატრი, კინო, გამოცემები — ყველაფერი უნდა გამოსახავდეს და ქებას ასხამდეს ადამიანის ყველაზე დაცემულ გრძნობებს. ჩვენ ყველანაირად მხარს დავუჭერთ

და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვან ადამიანებს, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრებენ და დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ სექსის, ძალადობის, ღალატის კულტს — ერთი სიტყვით, ყველანაირ უზნეობას;

სახელმწიფოს მმართველობაში შევქმნით ქაოსსა და გაუგებრობას. შეუმჩნევლად, მაგრამ გამძაფრებულად და მუდმივად შევუწყობთ ხელს მოხელეთა და მექრთამეთა თვითნებობას, უზნეობას. თავხედობა და საქმის გაჭიანურება აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე;

პატიოსნება და წესიერება წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა, გამასხარავდება და აღარავის დასჭირდება. უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და ტყუილი, ლოთობა და ნარკომანია, ერთმანეთის ცხოველური შიში და ურცხვობა, გამცემლობა და გაუტანლობა ერთა შორის, აღმსარებლობათა შორის და თაობათა შორის მტრობა — ყოველივე ამას ისე ოსტატურად და შეუმჩნევლად დავნერგავთ, ეს ყველაფერი აყვავდება.

მხოლოდ ცოტანი, ძლიერ მცირენი თუ მიხვდებიან და გაიგებენ იმას, რაც ხდება, მაგრამ მათ უმწეო მდგომარეობაში ჩავაგდებთ, ხალხის სამასხარაოდ გავხდით. გამოვძებნით ხერხს, რათა მათ ცილი დასწამონ და გამოაცხადონ საზოგადოების ნაძირლებად...

ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანთა გარყვნისთვის ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რათა მოვთაფლოთ და გავხრწნათ ისინი.

ახალგაზრდებისგან შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს...“ (ალენ დალესი).

რაიმე სხვა შედეგის კონტურებს ვხედავთ?

ჯერჯერობით, ხმა არსაიდან ისმის, „განათლების რეფორმაზე“ არავინ არაფერს ამბობს, მხოლოდ იმედი გვაქვს, მაგრამ ყოველი დაკარგული დღე რომ ძვირფასია?

ვთქვათ, დღის წესრიგში დადგა ნამდვილი „განათლების რეფორმის“ გატარება, რა ეტაპები გაიარა „გაუნათლებლობის რეფორმამ“, ეს თუ არ გაიაზრა „ახალმა გამტარებელმა“, ყველაფერი წყლის ნაყვა და ამაო ფაფხური იქნება.

1992 წლიდან დაიწყო განათლების სისტემაზე შეტევა, ის გამიზნულად ჩააგდეს სიღატაკეში მრავალჯერადი სეკვესტრებით, ამავდროულად, სახელმწიფო სასწავლებლებს ნება მისცეს, რომ ფასიანი სექტორები გაეხსნათ — ვაჭრები შეუშვეს ტაძარში! ფაქტობრივად, უნივერსიტეტები ბიზნესცენტრები გახდა, სადაც მთავარია სტუდენტის მიერ ფულის გადახდა ლამაზი გაფორმებით „სწავლის საფასური“. ლამის ყოველ ორღობეში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები... ხელისუფლებამ ისეთი „გაუნათლებლობის კანონი“ შემოახვია საქართველოს, რომ განათლებული ახალგაზრდა სანთლით საძებარი გამხდარიყო. ერთმანეთის მიყოლებით წაუჭირეს ყელში ნიჭიერ სტუდენტებსა და მათ პროფესორ-მასწავლებლებლებს, შემდეგ კი მეცნიერებას მისდგნენ, უნივერსიტეტების სამეცნიერო სექტორი გააუქმეს. გაუქმდა ყველა სამეცნიერო ლაბორატორია, კათედრა — დაიწყო სამეცნიერო ინტელიგენციის ფართომასშტაბიანი გენოციდი. რა თქმა უნდა, „განვითარებადი ქვეყნის“ სტატუსი ხომ უნდა გაგვემართლებინა... ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობას ის გზაღა დარჩა, რომ სამეცნიერო მუშაობისთვის უცხოეთში გადახვეწილიყო ოჯახის „დაბეგვრის“ ხარჯზე. ასე დავკარგეთ ის ნიჭიერი თაობები, რომლებიც ახლა წარმატებულები არიან იმ უცხოეთში, სადაც წასვლა აიძულეს. ჯერ მხოლოდ 20-მდე ქართველი ფიზიკოსია უცხოეთში, რომელთა სახელები მსოფლიომ იცის, ისინი ამ სფეროში პროფესორები არიან და სხვას გადასცემენ ცოდნას.

...ვიღაც იტყვის, მათთვის ხომ ასე სჯობდაო. სახელმწიფოსთვის რა სჯობდა? მომავალი თაობებისთვის რა სჯობდა? და უმთავრესი — ეს იყო დაგეგმილი გამიზნული დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე, რადგან უნდა მოსუფთავებულიყო ნიადაგი ვიღაცისთვის, ვისაც რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული, შორსმიმავალი, სადაც განათლებული საზოგადოება არ უნდა ყოფილიყო...

ცოდნის ნაცვლად დაამკვიდრეს უნარ-ჩვევების დაზეპირება. ამ საქმის წამომწყები და შემსრულებელი უცხო ქვეყნის გაუნათლებელი მსტოვრები, ცხადია, გვერდით ვერ იგუებდნენ განათლებულ ადამიანს, ამიტომ „ახალი სახეების“ მოძიება დაიწყეს, ისეთების, რომ მათ ფონზე თვითონ გამოჩენილიყვნენ ოდნავ განათლებულები და მალევე ვიხილეთ კიდეც პროფესორი თეა თუთბერიძეები და დანარჩენნი. დღეს გვიკვირს, რატომ ჰგონია ვიღაცას ლევან გოთუა საბჭოთა მწერალი და ვასილ ბარნოვი რუსი... ქვეყნიდან მამლუქებად გავუშვით ნიჭიერი ახალგაზრდობა აქ კი დაგვრჩა იქნებ ნიჭიერი, მაგრამ ტვინგამრუდებული მომავალი თაობა.

ფაქტობრივად, განათლების სისტემაში „შვედური მაგიდაა“. სწავლა გშია? ჩამოიარე, დახედე ფასებს და აირჩიე. თუ ოდნავი გასაქანი აქვს, წელებზე ფეხს იდგამს მშობელი, რომ შვილს სამომავლოდ მსუყე ლუკმა ჩაუგდოს ხელში, იმ იმედით, რომ 3-4 წელიწადში ამოიღებს იმ ფულს. ამიტომაც მივიღეთ არაპროფესიონალი იურისტების, ეკონომისტებისა და ა.შ. ჭარბწარმოება.

ნინო დაუშვილი

გური ოტობაიას ეპიკური პოემა „ოდოია“



სოსო სიგუა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „მწერლის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

(იბეჭდება შემოკლებით)

მართალია, გური ოტობაიასთან სატელეფონო საუბრებიდან ვიცოდი, რომ რამდენიმე ათეული წელიწადია, ეპიკურ პოემაზე მუშაობდა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, ასეთი მოცულობისა და სიღრმის ნაწარმოების გასრულებას თუ ვინმე მოახერხებდა დღევანდელ საქართველოში...

ტროას ათწლიანი ომის მერვე წელს ილიონის ქალაქ-სახელმწიფოში კოლხეთიდან ჩადის დაახლოებით 200 მჭედელი ჰალიბონი / ხალიბი, აიეტ-მეფის შვილიშვილის, ოდის წინამძღოლობით და რადგანაც ტროა ალყაშია მოქცეული, საბრძოლო იარაღი მათ ადგილზე უნდა გამოჭედონ.

მეცხრე წელიწადს ტროას შემოეკედლება ქურუმ ქრისეს ქალიშვილი ქრისეიდა. იგი აგამემნონის ტყვეა, მხევალი წლების განმავლობაში. გამოსასყიდით მისულ მამას ქალიშვილს არ დაუბრუნებს ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის მეთაური და ამის ნიადაგზე წაეკიდებიან კიდეც ერთმანეთს აგამემნონი და აქილევსი.

ქურუმი ქალი ქრისეიდა ოდის სატრფო ხდება. ომის კანონები აღარ დაეძებს უცხოს თუ შინაურს, აღარ დაეძებს მჭედელს თუ გუთნისდედას და მალე საომარ ველზე გასული ოდიც აგამემნონის ნასროლი ჰიროლითი (შუბი) განიგმირება („ოდოიას“ მიხედვით სასიკვდილოდ დაიჭრება).

ჰალიბონების 100 რჩეული ვაჟკაცი დაქცევის პირას მისული ტროიდან საიდუმლო გვირაბით გახიზნავს კოლხეთის სულთმობრძავ უფლისწულს. ისინი რის ვაი-ვაგლახით ჩააღწევენ ეგვიპტის მზის ქალაქ ონში — ჰელიოპოლისში, ოდის აიეტ-ბაბუის ძმასთან, აქციუსთან. ჰელიოპოლისის მკურნალები სასიკვდილოდ დაჭრილ ოდის მალე მოარჩენენ და დროთა მსვლელობაში იგი აქციუსის წყალობით ფარაონ რამზეს მეორის სიძე ხდება. აქციუსის შთაგონებით, ფარაონი გემებს მისცემს ოდის აიეტ-მეფის დასამარცხებლად, მაგრამ გზაში ამხანაგები აუმხედრდებიან და კოლხეთის მაგივრად სკანდინავიაში ამოჰყოფს თავს. ოდი აქაც ჯეროვნად განისწავლება სკანდინავიელი ქურუმებისგან — დრუიდებისგან. შემდგომ გემი „ნოათუნით“ მთელს ოკეანეთს მოივლიან და მხოლოდ წლების მერმე ჩავლენ სამშობლოში, რომელიც პირწმინდად გაპარტახებულ-გაოხრებულია.

აკი, რკინის, ფოლადის გამოგონებამ, იარაღის გამოჭედვამ და აღებ-მიცემობამ გააჩანაგა მისი ქვეყანა. ხალიბები ხომ ქვიშის მაგნიტიტისგან ადნობდნენ რკინას, ჭედდნენ საომარ იარაღებს და გამდიდრების ჟინით შეპყრობილები ახალ-ახალ ომებს იწყებდნენ ხოლმე. ერთი კილოგრამი რკინა ათ კილოგრამ ოქროდ ფასობდა და მიატოვა კოლხმა ხვნა-თესვა, მევენახეობა, გადაეჩვია ტრადიციულ საქმიანობას და მოისრა კიდეც.

აიეტ-მეფე და ოდის დედა სათანეი გვაშა, ოდის ორეული კას მიერ კოლხეთის დალაშქვრას ზეზეურად შეწირვიან. ოდი ხვდება, რომ ბოროტების სათავე ბაბუის ნახევარძმა აქციუსია. დაავლებს ხელს ჰელიოპოლისის ბენ-ბენს და აიეტის ძვლებთან ერთად სფინქსის ნაგებობას მიაყენებს. იქ, სასაკლაოში, აქციუსი ქვიშისგან იხრჩობა, ოდი კი რაღაც სასწაულით გადარჩება ბენ-ბენის ხაფანგივით დაგებულ განსაცდელს და კვლავ კოლხეთს მოაშურებს, რათა ახლა ჭარმაგობაში მაინც აისრულოს ბავშვობის აუხდენელი ოცნება — ხვამლის უკვდავების ტბის მონახულება. ოდის უმთავრესი მიზანი ხომ ბერძნებისგან დანაკუწებული მამა აფსაროსის მკვდრეთით აღდგენაა. მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემდეგ მიეცემა მას მარადიულ უკვდავების შანსი.

როგორც აღვნიშნეთ, პოემის წარმართველი ძალა ნაწარმოების მთავარი გმირი ოდია. მან დაზუსტებულად იცის, რომ კოლხეთის სამეფო კარის მოურჩენელი ზადი ინცესტური წარმომავლობაა: შეურაცხადი ბიძა ალოვი, მიამიტი და გულფიცხი მამა აფასროსი, ფეთქებადი მამიდები — ქალკიოპე და მედეა, რადგანაც სისხლის აღრევით გაჩენილან: აიეტს ცოლად ესვა — ძმიშვილი ჰეკატე. ამ ქორწინების ჩაშლის მცდელობას ემსხვერპლა აიეტის ნახევარძმა აქციუსი, რომელსაც ჰეკატეს ბრძანებით ქურუმები დაასაჭურისებენ. ის ღვთიური ძალის წყალობით ეგვიპტეში ჩააღწევს. აარსებს ჰელიოპოლისს, მზის სათაყვანებელ ქალაქ ონს და მისი ბენ-ბენი, მთავარი ქურუმი ხდება.

ოდის ძირითადი საზრუნავი ამ ინცესტის გვერდითი მოვლენების განეიტრალებაა, რომელიც გადაულახავ ბედისწერასავით დაჰყვება თითოეულს ფეხდაფეხ — მამამისი პირველსავე ხმობაზე მარტოდმარტო ავა არგონავტების გემზე, ენდობა ცბიერი მტრის სიტყვას და მისი დანაკუწებული სხეული ზღვაში ხვდება თევზების გასაძიძგნად. ოდის დაუმარხავი მამის გაპატიოსნება სწადია, თუმცა რანაირად გინდა აღადგინო წლების წინათ დაკეპილი სხეული?! არადა, ამის მიუღწევლად ვერაფრით ეღირსება ოდი უკვდავებას. ეს ლაიტმოტივი წითელი ხაზივით გასდევს მთელ ნაწარმოებს.

ნაწარმიების მთავარი გმირი ოდი (ოდი — ღმერთი ძველკოლხურად), აფსაროსს ნართების ასშვილიან ქალისგან, სათანეი გვაშასგან შესძინია. აიეტის სამეფო კარს მათი სახელის გაგონებაც არ უნდა, მაგრამ არგონავტების ხელით უფლისწული აფსაროსის მოკვდინების შემდეგ გაახსენდებათ უკანონოდ გაჩენილი შვილიშვილი, წაართმევენ დედას და სასახლეში მოჰგვრიან კოლხეთის მგლოვიარე მეფეს. ბაბუა-შვილიშვილის მერმინდელ დიალოგში თვალნათლი იშიფრება კოლხებსა და ნართებს შორის არსებული კოლოსალური განსხვავება. კოლხებმა გამოადნეს ქვიშიგან რკინა, მიაღწიეს ქიმიის მეშვეობით ოქროსა და ვერცხლის მოპოვებას. ამდენად, ისინი საგრძნობლად დაწინაურებულან დროსა და სივრცეში, თუმცა ამ დაწინაურებას მსხვერპლად შეწირვია მამაპაპური ზნეობრიობა; ოქროს და რკინის მოპოვების ცოდნამ მოიტანა საყოველთაო გაუტანლობა და შური, ღალატი და განზე მაცქერლობა, ჯანდაბა და დოზანა, ამ დროს ნართების თემი, მართალია, ჩარჩენილია პრიმიტიულ, ტრადიციულ ყოფიერებაში, მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას მისდევენ, თუმცა ალალი ოფლით ირჩენენ თავს და, აქედან გამომდინარე, მათი ოჯახებიცა და ადამიანებს შორის ურთიერთობებიც ანკარაა, წარუყენელი, სუფთა.

გური ოტობაიას პოემას მთხრობელი ერთი ჰყავს – უფლისწილი ოდი, იგივე ოდიოსი და ოდინი, მის ხასიათში გაერთიანებულია ოთხი პლასტი: კოლხურ- ბერძნულ-სკანდინავიურ-არიული და მაინც სათანეი დედისგან იგი სახელდებულია ოდოიად. ასევე მიმართავს ოდის რამდენჯერმე უზენაესი ხმა; ასე განადიდებენ ჰალიბონები თავიანთ წინამძღოლს, მის უკვდავსაყოფად შექმნილი საგალობელ „ოდოიათი“. ამ დროს ტერმინი „ოდოია“ ნაწარმოების მიხედვით სულაც არ შეიცავს რაიმე ამაღლებულ შტრიხს. პირიქით, ოდოია ღვთაებრივი ოდის კნინობითი ფორმაა, რომელიც გაუთლელს, მოუხეშავს, ფლეგმატიკურს შეესატყვისება.

„ოდოიაში“ წამყვანი გამთამაშებელი ხარანაულისებურად თვითონ ოდია, ოდის გონება, ოდის „ცნობიერების ნაკადი“. მაგრამ ჩვენ წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი არსებითი პოსტულატიც, რომ ოდის მეობის მამოძრავებელი ძალა აიეტ-მეფის დაკვალიანება ან მის ნახევარძმა — აქციუსთან განსწავლა კი არა, კაცობრიობის სინდის-ნამუსის სიმბოლოს, ხვამლის კლდეზე მიჯაჭვული არამხუტუს მეობაა. არამხუტუს პრომეთესეული მითოლოგიური გაგება ქართულ ფოლკლორში არც კი იძებნება. იგი მეგრულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება გოლიათური აგებულების დევგმირად, რომელსაც უბრალო კენჭივით შეუძლია უშველებელი ლოდების გატყორცნა, მაგრამ გური ოტობაიას ახალი პრომეთე სჭირდება, და მან ამ უხეშ ძალას ახალი სული შთაბერა, მასში განასახიერა პლანეტარული ცივილიზაციის ლოცმანის ხატი, ზევსს ღვთაებრივ ცეცხლს რომ მოსტაცებს ოლიმპოს მთიდან და მის მიერვე შექმნილ ადამიანებს უწილადებს ოჯახური ბედნიერების მოსაპოვებლად.

ამ ღვთიურული ცეცხლის მეშვეობით მოახერხებენ ხალიბები ქვიშის მაგნიტიტისგან რკინის გამოდნობას, ოქროსა და ვერცხლის მომრავლებას, და დროთა მსვლელობაში მიაღწევენ კიდეც სრულ სულიერ გაპარტახებას, გაუცხოვებას, არადა, განწმენდის, კათარზისის გზაც არსაიდან ჩანს. მხოლოდ არამხუტუსთან, იგივე ბერძნების პრომეთესთან და ქართების ამირანთან, იგივე ჩეჩენ-ინგუშების ფჰარმათთან და ყაბარდოელების ნასრენ ჟაკესთან, იგივე სიმხების მჰერთან და ალბანების ალბანთან, ანუ სრულიად კავკასიის პრომეთეებთანაა ეს სულიერი საგანძური, რომლებიც ტროაში შეუყრია ავტორს ათჯერ მრავალრიცხოვანი ბერძნების საპირწინედ.

მხოლოდ არამხუტუმ იცის ზევსის აღსასრულის საიდუმლო: თუკი ნიმფა თეტისას ღმერთი შეეწყვილება, სწორედ მათი ურთიერთობისგან გაჩენილი ღვთაება ჩამოაგდებს კრონიდს ტახტიდან. თუმცა საკმარისია, თეტისას მოკვდავი დაეუფლოს, ამ ურთიერთობას კი მოჰყვება გმირთაგმირი, მაგრამ არა ზევსის სამეფო ტახტის მოცილე.

ამას გაუცხადებს მონობის სამარცხვინო ჯაჭვისგან ამხსნელ ჰერაკლეს არამხუტუ. თუმცა რა ერგება სანაცვლოდ? უფრო მეტი ტანჯვა-წამება კოლხეთიდან ოქროს ვერძის გამტაცებელი ბერძნებისგან. ამ ვერძის ტყავზე, დიახაც, არამხუტუს მიერაა გადატანილი ყველა საიდუმლო წეს-კანონი და მოსთხოვენ მის წაკითხვას. ოქროს საწმისი ვერ გაუშიფრავს გულთმისან მედეას, ვერც ჰელიოპოლისის ბენ-ბენ აქციუსს და ვეღარც მსოფლიო ქურუმ-მოგვებს. მაგრამ არ გასცემს ამ საიდულოს არამხუტუ, თუმცა ახალ-ახალი ტანჯვა უმრავლდება ქალკიდეა-ფრიქსეს შვილებისგან და მათი დამქაშებისგან.

არამხუტუს სისხლით იხატება ლაბირინთის კედლებზე ის ფორმულა-კრიპტოგრამები. და ასე, ტანჯვა-წამებაში ამოხდება სული კაცობრიობის უწინარეს ტიტანს. ეს უმთავრესი საიდუმლო კი ოქროს დაბრტყელებაა, ოქროს მონეტად მოჭრა. ერთ კილოგრამ რკინას 10 კილოგრამი ოქროს ყიდვა რომ ძალუძს და 1000 საპალნე ხორაგ-საწოვაგის მოხვეჭა, დაბრტყელებულ ოქროს მონეტას უკვე თავისუფლად შეეძლება მთელი კაცობრიული სულის შეძენა და ნივთივით მოხმარება. აი, ამას არ გაამხელს არამხუტუ, აი, რის გამო უძლებს აუტანელ წამებას მისი გმირული სული...

ოდის ნათელხილვებით მისი თაობელების წინაშე მიყოლებით იხატებიან მაკედონელები და კეისრები, ჩინგიზ ხანები და ჯალალედინები, ბონაპარტეები და ჰიტლერები, ხელისგულზეა დალაგებული მათ მიერ გაჩაღებული სამომავლო ბარბაროსული დამანგრეველი ომები, დახაუები და ოსვენციმები, ჰიროსიმა და ნაგასაკი. ამ თანაგუნდელების წინაშე ჰყვება ოდი მათთვის უხილავი პერსონაჟებისგან გადმოცემულ ამბებს. აქ განსაკუთრებით გამოკვეთილია ლაზარე-ზვიად გამსახურდიას ხატი, რომელიც თავისი არსით სქართველის მეტაფორაა დროსა და სივრცეში.

ამ პოემაში კაცობრიული ცოდნა, პლანეტარული მითოლოგია, აღმოსავლეთ-დასავლეთის საზრისი დიდი ოსტატობითაა შეწნულ-შედუღაბებული კოლხურ, ქართულ, კავკასიურ ფასეულობებთან.

გური ოტობაიას სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ 10 1000-სტრიქონიანი პოემა ჯერ პწკარედულად თარგმნა სრულიად საქართველოსთვის. მერე ესეც არ იკმარა, რითმით გააწყო, გასაოცარი პოეტური აღმაფრენით შექმნა ახალი მონოლოთური სივრცე, როგორც მშვიდობისა და კაცობრიული ამაღლებულობის სიმბოლო.

მან ამ პოემით, ფაქტობრივად, მოგვცა პროტოიბერიული სულის თვალუწვდენელი ბიოგრაფია, რომელიც ლოცმანივით წინ მიუძღვის კაცობრიულ ცივილიზაციას. მისი მთავარი მაჩვენებელი ალტრუიზმია, სხვისთვის თავდადება, სხვისთვის სულის გაღება (ზ. გამსახურდია „საქართველოს სულიერი მისსია“, რ. ჩხეიძე, „ქალდეას მონატრება“) და არა კაცთაკვლა, არა შური და მტრობა, არა ჯანდაბა და დოზანა, არამედ უკიდეგანო კაცთმოყვარეობა, განუხრელი აღმშენებლობა. აკი, შემთხვევით არ იტყოდა ჰეგელი: „ევროპეიდული რასა ქართველებისგან მოდისო“. ამ ფილოსოფიურ დოქტრინას გასაოცარი პოეტური ძალისხმევით შეასხა ხორცი გური ოტობაიას „ოდოიამ“ და ამიერიდან მის გაუთვალისწინებლად მონოლითურ, გლობალურ პლანეტარულ ფსიქოლოგიაზე საუბარი მიკერძოებული იქნება უეჭველად.

„მწერლის გაზეთი“,
N5, 15 მაისი-15 ივნისი, 2023 წ.

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

ერვანდა - კვირის მიმოხილველი

— ზურაჯან, სადა ხარ, ტო, გავიხიევი ძახებით! გურჯისტანში რაები ხდება და ამასა სძინამს! — ეზოდანვე საყვედურით ამომყვირა ერვანდამ.

— ტოროლა ხარ? რა გეტაკა ამ სისხამზე? სანამ „ის“ გამოგვარდნია, — შემო! — თვალებს ვიფშვნეტდი, ისე გავეპასუხე და როგორცკი გულისჯიბიდან „ახტამარის“ ბოთლი ამოაძვრინა, მაშინვე ხელით ვანიშნე, ვერ დავლევ-მეთქი..

— რათ ვერ დალემ, ავათა ხარ? იცი, რა ჩამოსხმაა, — ვითომ მომატყუებდა, გაურია თავისებური.

— საქმე მაქვს.

— მე რა, უსაქმური ვარ? თან გასკდა გული! ეს თქვენი ჭრიჭინაძე ლეტნათაა?

— ჭრიჭინაძე ვინ ჯანდაბაა?

— მე რა ვიცი?! აშიკამ მანახა, გავარიტ, ავლაბრის მაჟორიტარია და მაგის პარტიის წევრმა სულ მძიმედ აგინა სომხებს, აი, ემ საქართველოში სულ დედებს მიგიწერავთ პადრიადო. ტო, შევხედე, ჩემი ბიძაშვილი მეგონა, იმენნა ჩვენაირი ლამაზი ცხვირი აბია და თან ისრეთი აქცენტი აქვს, კლიანუს, ტოჟემ ქომეხი მეგონა. გავარიატ, ეხლა დაკითხვაზეა მილიციაში, არსენიძეა.

— დავით ჭიჭინაძეზე თუ ამბობ, ეგ დიდი ხანია, აღარ არის ავლაბრის მაჟორიტარი — მე ასე ვიცი და ის რა შუაშია, თუ სხვამ გაგინათ?

— მე რა ვიცი, რა ჰქვიან, მაგრამ მაგის პარტიის ჩლენი ხო არი. ვა�ა, ეძება აშიკამ პრიჩინა, რათ გვაგინებსო და ვერა ნახა. ეგრე არ შეიძლება, ზურაჯან, ჰაოსი და ქართლოსი ძმები იყვნენ სულა. იცი, რას გითხრამ, მტრობა მაგარი ფინთი რამეა!

— ეგრეა! — დავუდასტურე და საცოდავად გადავხედე „ახტამარს“. ეშმაკზე ადრე დაბადებულ ერვანდას რას გამოვაპარებდი, მაგრამ არ შეიმჩნია, ისე ჩამოისხა თავისთვის და ქაქანი განაგრძო.

— ტო, იმ ტიპისა ისე არ მიკვირს, როგორც რომ აი, ემ ლიფოშკინასი, მაგას რაღა უნდა? წავა-მოვა, აუცილებლად რამე ვრედნობას დახეთქებს. ეგ ქართველია თუ გრეციიდამ შემოპარული გყავთ?

— ლიფოშკინა რა არის, ბიჭო? — ერვანდას არეულ ლაპარაკს ბავშვობიდან მიჩვეული ვარ, მაგრამ ისეთს იტყვის ხოლმე, რომ ვერ ვხვდები. ახლაც გულწრფელად დავინტერესდი.

— ეგ როგორ არ იცი? თავისი ბაითი რო ზურგზე აკრია და ჟღვინტიანია, — გაოცებულმა შემომხედა ერვანდამ.

— ლოკოკინა?

— ჰო, ეგა! ყველა ქართველს ეგ რათა ლანძღამს? ეხლა გავარიტ, ხევსურები ხალხს ჭამდნენ. ეგ რო ჩვენმა მინდიამ გაიგოს, ხო მართლა შეშჭამს თავის კურკლიანად, — რა დიდი მიხვედრა უნდოდა ვის გულისხმობდა. ეტყობა, წარმოიდგინა, როგორ ჭამს მინდია ლევან ბერძენიშვილს და გამხიარულდა.

— ჟღვინტიანი რატომ არის, ვიღაცაში ხომ არ აგერია? — ჩავეძიე მაინც.

— ნწუ! აბა, დააკვირდი, სულ მგონია, რომ ჟღვინტიანია და დორბლი ეპარება, მაგრამ პლატოკი არა აქ — ეგრე ლაპარაკობს. ისედაც, რომ შეხედავ, ლიფოშკინაა...

— ლორწოიანის თქმა გინდოდა?

— ჟღვინტი ლორწო არ არი? — ალალი მზერით შემომხედა ერვანდამ.

— ჰო, არის, მაგრამ ყველაფერს და ყველას ნაცვლად შენ რატომ დარდობ?

— რას ვდარდობ, უბრალოდ, ვშფოთავ — არ მომწონს და ვამბობ! ვაბშე, რა იცის მაგ ლიფოშკინამ, ადამიანის ხორცს რო ღორის ხორცის გემო აქ? გავარიტ, გემრიელია! რომელი ნაწილი მოაჭამა თითონ ვინმეს? ნუ, მკლავი არ იქნება, ხევსური ხო არაა. ზურაჯან, ეგ რომ ბოჩკა იყო, რასა სჭამდა, ხო არ იცი? ეხლა კიდე, აშიკამ უთხრა, რო რუსეთის დაშლილი რუკა დაუდიათ ევროპელებს. ხოშიანად მიუკრიათ ზოგი იაპონიისთვის, ზოგი — პოლონეთისთვის, პრიბალტიკისთვის და ვსიო, ჩვენ არაფელი! ტო, სოჩა მაინც მოეცათ! — გააპროტესტა ერვანდამ რუსეთის გადანაწილების ევროპული ვერსია.

— ხუმრობით იტყოდა ვინმე და აშიკა ვერ მიხვდა...

— გაუშვი, ხუმრობით იყოს, მა ჩვენ იმ ხუმრობაშიც არაფელი გვეკუთნის? მე ხომ არ ვამბობ, რო მთელი კრასნოდარსკი კრაი მოეცათ და ვაბშემც, კრიმიც? მე კარგად მახსომს პრადედუშკასგან, როცა რო დენიკინის დრო იყო, ინგლისელები პიცუნდას აძლემდნენ დენიკინსა, გაგრასთან გაავლეს გრანიცა და ფეხს ვერ გადავადგამდით. იტყვი რამეს და გითხრამენ, ასი წლისწინანდელ ამბებში რათ იქექებიო — მა სად ვიქექო? ჰოდა, იმ ლიფოშკინას უთქმია, რო მე ეგ ამბავი ათი წლის წინათა ვთქვი ხევსურებზე და ეხლა რა შარზე ხართ, ნათქვამს ვადა აქ გასულიო. რა ვადა აქ გასული, სმეტანაა თუ მარგარინი?! ეხლა ეგ ამბავი იცი, როგორაა, უნდათ რო ნათქვამი გაუპრავონ და სხვა ვერაფერი მოიფიქრეს. ყველა ეგეთი ტუპოია, რო ვერავინ მოიფიქრა, ეთქვათ, მონტაჟიაო? ვაბშე ცირკი ვთქვა! ეხლა ეგ ლიფოშკინა ამბობს, რო 20 ნიღბიანი მელოდებოდა სახლთან, ოჯახიდამ დამირეკესო. არაფერი უთქმიათ, მაგრამ იღიმებოდნენ და პატრულის გამოძახების მერე გაქრენო. ტო, მასკაში ღიმილი როგორა ჩანდა, ღიმილი მასკებზე ჰქონდათ მიკრასკული? ან ვაბშემც ვინ იყვნენ, იგორ კიოს ნასწავლი ღიმილმასკიანი ხევსურები ხანჯლებითა? მა რანაირად აორთქლდა 20 კაცი უცბათ? ვაჰ, რა მაგრა ვიცინე... ჰამა უთქმია, თუ მაგრები არიან, ეგ მასკიანები ჩემ ლექციებზე მოვიდნენ, ნახე, რას უზმენ ჩემი ატლიჩნიკი სტუდენტებიო. ტო, ჯერ თითონ რა არი ამოტონა ლიფოშკინა და ეხლა კიდე პატარა ლიფოშკინები. ვის რათ უნდა, ნე ტოშტო მინდიას ნათესაობას, სასტავი შატილიდან იმიტო ჩამოვა რო ეგენი ჭამოს? ვაბშეტა, თუ რო ვინმეს შია და მაგებსა ჭამს, უჟე ნეპრილიჩნი კაცია ჩემ თვალშიდა. ვაჰ, რამდენი ვიცინე... ჰა, ზურაჯან, ხოშზე ვერ მოხველ?

— ბიჯო, ხოშზე კი ვარ, მაგრამ ვერ დავლევ!

— ეგრე იყოს! ის კაი მომღერალი ბიჭი რო გვყამს, ყიურის ტონტორიკა რო ვიღაცის შნირს უმახის, იმას უთქმია, ეგ თქვენი ლიფოშკინა ლედაკოლ „ლენინივითაა“, ოღონც, მახინჯი გაგებისაო. ტო, საიდამ მოაფიქრდა ლენინი და ლედაკოლი? ვაჰ, ხოშზე მოდი, რაღა! — მოსწყინდა მარტო სმა ერვანდას.

— მოველ, მაგრამ საქმე მაქვს, ალექსეევკაში ვარ წასასვლელი, კაცი მყავს სანახავი...

— ვერ წახვალ! აელაპორტში ვერ წახვალ! იქ ლЯკაა და კიდე ის ქალი, 2012 წლამდე რო ჟიმაობდა. ტო, ეგენი იცი, რა აპასნები არიან? იმ ლЯკას იცი, რა კვერცხები უჭირამს ხელში? — რა იცი, ვისია. გავარიატ, ქათმების, მაგრამ არ მჯერა, რო თავის შისტიორკა ბიჭებს დაამრეს. იმ მეორეს კიდე, 2012 წლის მერე აღარ უჟიმავია — იქ გაგიშვებ? დაგინახამენ ორმეტრიან სიმპატიჩნი მუჟიკს, იცი, რას გიზმენ — მე აზრზე ვარ! ზურაჯან, ვაბშეტა, იმ ინტრიგნებს, ტელნიაშკები რათ ეცვათ, რუსეთის დესანტნი ჩასტის პადერჟკის პონტში? თან მაგ ლЯკას ჩურბანა სასტავს ხო „ვრემია“ ჰქვია და დავიმბენი, მაგნები რუსეთის აგენტები არიან თუ კელი დიღომსკისა?

— ბიჯო, ალექსეევკაში მივდივარ-მეთქი!

— ჰოო, ეგ სხვა რამეა! მე რუსეთებისკენ გამექცა ფიქრი. ხო იცი, საიუზის დროს სულ იქ ვდიოდი, პაპაჩემს რა მაგარი ტუფლების ცეხი ქონდა პადპოლნად, ხო გახსომს?

— მახსოვს.

— ტო, ამ ჩემისებს რა უნდათ, თუ რომ რუსეთმა სამალიოტების ფრენა ისევ გააკეთა? სუ სიცილით მოვკვდი დიღომსკის ნათქვამზე, ეს რა თქვა, ტოოო... ქართველი ხალხი აღშფრთოხებულია ფრენების აღდგენითო! რა გაცინებს ახპერჯან?

— ვერაფრით ვერ ვიტყვი მაგ სიტყვას შენსავით სწრაფად და გარკვევით, — ამიტყდა სიცილი.

— რა ვთქვი, რო?

— კაი, გამანებე თავი, ხომ გითხარი — ვერ გავიმეორებ!

— არა და ნუ! ვაბშემაც, არ მესმის, რატო უნდა მიესალმო საჩუქარს სასტიკი აგრესორისგანო, მითამ ამერიკა კი არა, ვიეტნამში მე ვიყავი აგრესორი... მერე კიდე, უსაფრთხოების ამბავიცაა, როცა რო არ იცი, აქვს თუ არა თვითმფრინავს სათადარიგო ნაწილებიო. ჯერ ქართველი ხალხი ოვა, ვინ არის აღშფრთოხებული, ოჯახ-ოჯახ ირბინა და უთხრეს? მე თუ მკითხვენ, ეგ ამბავი სულ ნააბაროტ არის, ქართველი ხალხი სწორედაც რომ მაგის ყურებით არის აღშფრთოხებული — ეს რა მურტალი სწერვაა, ტოო! გახსომს, ნანულას პადვალში დიდი კრისა რო დაიჭირა ბელას კატამ, აი, ტოჩნად ის არის, რაა! ეს თამროც ვერაა, რათ მისცა ბელასა, თითონ რო კრისა გაუჩნდეს, თითონ დაიჭირამს? ერთი გალუბაზნი კოშკა ყველას უნდა ჰყამდეს! რა გაცინებს, მორდაზე შეხედე, ტოჩნად ისეთი წუკლაკია, სუ მშიერსა ჰგამს, არადა, სუ ჭამს...

— სად ნახე მაგის ჭამა, — გამეცინა მე.

— დედმისითგამ დაწყებული მთელი ყველას წილს ეგა ჭამს და კიდე რასა ჭამს? მერე კიდე, რა ზაპჩასტები, ტოოო... ეგ რო მიუშვა, ისეთებს იტყვის, იზმენაში ჩაგაგდებს, ვაბშე ფრთები და სიდენიები თუ არის რუსეთიდამ მოფრენილ სამალიოტებში, მითამ მგზავრები სულ სველ პოლზე იმსხდებიან... ზურაჯან, ეს კრისა ქურდად დაგვიდეს, თუ რა პონტია, აკი მიჰყამთო? გავიხედამ ვიღაცის გარაჟში ზის და საქმეს არჩევს, იქით გავიხედამ, სამალიოტების საქმეებს არჩევს, ტო, მაგის შიშით ვაკეში მანქანა ვერ ჩაუქვრიათ სტაიანკაზე და ცაში სამალიოტი ვერ გაფრენილა, ეს ინჩა?! — აღშფოთებულმა ერვანდამ ერთი კი გადმომხედა და უსიტყვოდ გადაჰკრა.

— რას მიყურებ?

— არაფელს! ის კარგი ბიჭი რო არის, პატარ-პატარა, დობრი, იმას უთქმია, ნანულას სექტანტებს ისეთი პრისტუპები აქთ, მალე იტყვიან რო, პილოტები და რადისტები სულ პიანიცები არიან, სტიუარდესებს კიდე, პადრობნად ყველას ჟანა ჰქვიანო, ჰამა, ნად კავკასიონა სულ ტურბულენტიჩესკაია პალასაა — ვაჰ, რამდენი ვიცინე!.. ამ პუტინმა სულ დაცენტრა ესენებიც, ისინებიც, ისინებიც და ვაბშე ისინებიც! სლუში, რუსი კვარტირანტები მაგათა ჰყამთ, მაგნები იღებენ ზარპლატებს რუბლებით და კიდე ეგენი ბრაზობენ, აქ რათ მოფრინავენ რუსებიო. ტო, შენ რო იმათთან მიფრინავ, კაია? მაშინ რათ არ ვარდებიან სამალიოტები? ეხლა ეს კრისა ამბობს, კელი დიღომსკი, რუსეთი ისეთი პადლეცი ვინმეა, თუ ვიგოდა არა აქ, ისე არაფელს აკეთებს, აჰა, ვნახოთ, რას მოგთხოვთო. ტო, ამერიკა ხო ვაბშე რამეს აკეთებს, მარტო ვიგოდაზეა. ე, სუ რო ძმა იყოს, თუ შენგან ვიგოდა არაფელი აქ, რათ მოგცემს კრუპნი რამესა? — ისე აღელდა ერვანდა, მეც შემივსო სირჩა.

— ერვანდ, რატომ მაფუჭებ? — მივესიყვარულე ჩემებურად და სირჩა გვერდზე გავწიე.

— სულაც არა! მერე კიდე, სასტიკი აგრესორის საჩუქარიო! ბალვან! ზუსტადაც რო უნდა გინდოდეს საჩუქრები იმ აგრესორისგან, იცი, რათა, ეგ ნიშნამს, რომ არ უნდა აგრესორობა, დობრი მეზობლობა უნდა. ვა, ხალხიო — ამბობს ეს კრისა ქალი. პუტინმა 9 მაისი ხო ხალხს მოგვილოცა და ვლასტს — არა? ეგ იცი, რათა ქნა ეგრე? იმიტო, რო შარში არ გაეხვია ჩვენი ვლასტი. ეგ ნანულას კრისა იმას აღარ ამბობს, რო მაგითვინ ქართველი ხალხი თვითონ არიან, თავისი შაიკა, აგე, ისინი რო ჰყამს, საქართველოს ვრედნი ნაწილები, რო აჭმევენ და ისინი კიდე ვერა ძღებიან — ვერ ვიხსომებ სახელსა... თავისი აგენტები, რა... მაგის კაპრატივის წევრები...

— ნჯო-ები? „კაპრატივი“ მომეწონა... კოოპერატივი საიდანღა გაგახსენდა, შე ჟანგიანო?

— ჰო, ეგენი! ჟანგიანი რათა ვარ, ძაანაც სვეჟი ბიჭი ვარ!.. რა ვრედნები არიან — რათ უშვებთ საქართველოში რუსულ „აზიმუტს“ პირდაპირ საფრენად, მაგას აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებათა ჰყამთო და ბრახ, ეგრევე ამოიღო რუსეთმა ორივენიცა, აზარალეს აფხაზები და ოსები, არადა, საქართველოს ზარალი უნდოდათ. პოლიტიკა მართლა ფინთი რამე, ყროლამს — ორივე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჰყამდათ გუშინ და დღეს უჟე აღარ არიან, ავიაბილეთებში დაუხიეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფლაგები. აბა, ერთი უთხრას მაგ კრისამ, ამერიკა ხო ვითომ ჩვენი ძმაკაცია, რათ არ მოგვცა უვიზო შედი-გადი ამერიკაში? ჩათლახი იანკები!.. რატო ერთ კარგ ზაბასტოვკას მაგათ საელჩოსთან არ ვურტყამთ? მერე ენახა, ქართველი ხალხი რას ფიქრობს... ვირიშვილის მერე, ძაღლიშვილი მიკვირდა და ეხლა კიდე, ეგ

კრისას შვილი! მაიცა, აკი ახალი პასოლი გვყამს, სად არი, რათ არ მოდის რო ეს კრისა აქედამ წაიღონ?! — ბრაზობდა ერვანდა.

— ახალი ელჩიც ქალია, ომის ეროვნული კოლეჯის კურსდამთავრებული...

— მამანჯა

მშვიდობის ფონდი ომს აფინანსებს!

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერების შეხვედრა იაპონიაში „მშვიდობის სამიტად“ სურდათ წარმოეჩინათ, თუმცა შეკრებაზე საომარი რიტორიკა სჭარბობდა. ღონისძიება ხიროსიმაში, „მშვიდობის პარკში“ გაიმართა, სადაც 78 წლის წინათ, 1945 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს. სამიტის დაწყებამდე ქვეყნების მეთაურებმა პარკში არსებული მემორიალი ყვავილებით შეამკეს. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ფუმიო კისიდამ, როგორც მასპინძელმა, პირველმა წარმოთქვა სიტყვა. აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ბირთვული იარაღის გამოყენებით დაემუქრა ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც იაპონიასა და სამხრეთ კორეას შეუქმნის საფრთხეს. ბაიდენმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რა საშინელება იყო ატომური ბომბებით ქალაქების დაბომბვა, მაგრამ მინიშნებითაც არ უხსენებია, რომელმა ქვეყანამ განახორციელა. ბაიდენს თავისი ქვეყნის სახელით არც ბოდიში მოუხდია, არც სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რაც 78 წლის წინათ განახორციელა აშშ-მ და მემორიალთანაც მომღიმარი სახით იდგა. ფაქტმა გააღიზიანა იაპონიის მოსახლეობა. ხიროსიმაში რამდენიმე ასეულმა ადამიანმა საპროტესტო გამოსვლა მოაწყო.

თითქმის ზუსტად გაიმეორა ბაიდენის სიტყვები გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა. საინტერესოა, რომ ბევრმა იაპონელმა ახალგაზრდამ არ იცის, ვინ ჩამოაგდო მათ ქვეყანაში ატომური ბომბები. ბაიდენმა მემორიალთან კიბეზე ტრადიციულად წაიბორძიკა. ერთობლივი ფოტოს გადაღების დროს ადგილს ვერ პოულობდა, სად დამდგარიყო, ფუმიო კისიდა კი პრეზიდენტად მოიხსენია. ბაიდენმა ორიციალური ვახშამი ყველაზე ადრე დატოვა, მიზეზად გადაუდებელი საქმეები დაასახელა. იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯორჯია მელონიმ სამიტი სასწრაფოდ დატოვა ქვეყნის ჩრდილოეთში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო. წყალდიდობამ 14 ადამიანი იმსხვერპლა. ზარალმა, წინასწარი მონაცემებით, რამდენიმე ასეულ მილიონ ევროს მიაღწია.

უსაფრთხოების ზომები ხიროსიმაში არნახულად გაძლიერებული იყო. „მშვიდობის პარკი“, სადაც ღონისძიება მიმდინარეობდა, პოლიციისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრი ჰქონდათ. შარშან მოკლეს ყოფილი პრემიერი სინძო აბე. ერთი თვის წინ კი მოქმედ პრემიერზე თავდასხმის მცდელობა აღკვეთეს. მაისის დასაწყისში ტოკიოში იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, რომელიც კისიდას შეხვდა. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ „ამომავალი მზის“ ქვეყნის დედაქალაქში ნატო-ს ოფისი გაიხსნება. ჩინეთისთვის მიუღებელია ალიანსის აღმოსავლეთ აზიაში დამკვიდრება. ამიტომაც დაიწყო მზადება მოსალოდნელი ესკალაციის წინააღმდეგ. შეიარაღების, სამხედრო არსენალის გაზრდა დაიწყო ასევე, ჩრდილოეთ კორეამ. რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარებით შეშფოთებულები არიან იაპონელები.

გლობალური საკითხები G-7-ზე არ განუხილავთ. გავრცელებული ინფორმაციით, ძირითადად ჩინეთისა და რუსეთის შეკავებაზე ისაუბრეს. ამავე დროს, ჩინეთს მოუწოდეს, განახორციელოს რუსეთზე ზეწოლა ომის შესაჩერებლად. ერთობლივ კომუნიკეში კი ჩაწერეს, ჩინეთი აიძულონ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. სხვა მნიშვნელოვანი საკითხი არ განუხილავთ. ამიტომაც ირონიულად უწოდა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ G-7-ს „მარტოხელა მეთაურთა კლუბი“. ყველა მათგანს საკუთარ ქვეყანაში 50%-ზე ნაკლები რეიტინგი აქვს და უამრავი პრობლემა დაუგროვდათ. აშშ-ში დეფოლტია მოსალოდნელი. ამიტომ ჯო ბაიდენმა ავსტრალიაში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა, სადაც G-7-ის დასრულების შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო.

სამიტზე განიხილეს უკრაინაში არსებული ვითარება. მაკრონმა განაცხადა: „...ჩემი ქვეყნისთვის პატივია უკრაინისთვის შეიარაღებისა და საბრძოლო თვითმფრინავების გადაცემა... თუმცა, რაღაც მომენტში ქვემეხები უნდა დადუმდნენ და დიალოგი დაიწყოს...“

გერმანიის კანცლერმა თქვა, „...ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინისთვის დახმარებას, ვიდრე საჭირო იქნება“ და დაამატა, რომ „უკრაინის ნატოში გაწევრიანება ჯერ ადრეა, რადგან ქვეყანა ამისთვის საჭირო კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს“.

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ორი კვირაა, საკუთარ ქვეყანაში არ ყოფილა. ევროპაში მის ვოიაჟებს ტელეკომპანია RTL-მა „ზელენსკის შაპიტო“ შეარქვა. საინტერესოა, ყელამდე ვალებში ჩაფლული, საომარ მდგომარეობაში მყოფი, დანგრეული ქვეყნის პრეზიდენტი როგორ ახერხებს მსოფლიოში ხანგრძლივ მოგზაურობას.

„არაბული ქვეყნების ლიგა“ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს დაფუძნდა, რომელშიც ყველა არაბული ქვეყანაა გაერთიანებული. წლევანდელი სამიტი გამორჩეული იყო, რადგან სირიას აღუდგინეს ლიგაში წევრობა, საიდანაც 12 წლის წინათ გარიცხეს. ახლა ქვეყანა ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრია და სამიტს პრეზიდენტი ბაშარ ასადიც ესწრებოდა. სწორედ „არაბული ქვეყნების ლიგის“ სამიტს, რომელიც საუდის არაბეთში იმართებოდა, მოულოდნელად ესტუმრა ზელენსკი. დაუპატიჟებელი სტუმარი მიიღეს და სიტყვით გამოსვლის საშუალებაც მისცეს. ზელენსკიმ არაბულ ქვეყნებს უსაყვედურა უკრაინისთვის არასაკმარისი დახმარებისა და რუსეთთან თანამშრომლობის გამო. მასპინძლებმა წყენა არ შეიმჩნინეს. თუმცა, ზელენსკის სიტყვის დაწყებისთანავე ყატარის ემირმა დარბაზი დატოვა. ბაშარ ასადმა კი სინქრონული თარგმანის ყურსასმენები დემონსტრაციულად მოიხსნა. სამიტი ზელენსკიმ ხელცარიელმა დატოვა.

საუდის არაბეთიდან ზელენსკი საფრანგეთის სამთავრობო თვითმფრინავით იაპონიაში, G-7-ის სამიტზე ჩავიდა და შეხვედრები გამართა. მათ შორის, ევროკომისარ შარლ მიშელთან, რომელსაც მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის. გასულ კვირას ევროკავშირში მიიღეს გადაწყვეტილება — უკრაინას შეიარაღებისთვის სამ მილიარდ ევროს გამოუყოფენ ევროპის მშვიდობის ფონდიდან. საინტერესო ფაქტია — მშვიდობის ფონდი ომს აფინანსებს! მეორე დღეს ზელენსკი ჯო ბაიდენს ესაუბრა პირისპირ ერთ საათზე მეტხანს. შეხვედრის წინ ცნობილი გახდა, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქი ბახმუტი დატოვეს, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისთვის. ახალმა ინფორმაციამ ბაიდენი აშკარად ცუდ ხასიათზე დააყენა.

სამიტზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდნენ ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა დე სილვა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნარენდრო მოდი. ინდოელი გაოცებას ვერ მალავდა, როდესაც ზელენსკი სასაუბროდ დაუსვეს. საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინელებმა ცოტა ხნის წინათ შეურაცხყოფა მიაყენეს ინდოეთის ერთ-ერთ წმინდა ღმერთს „კალის“, რომელიც მერლინ მონროს კაბაში გამოწყობილი დახატეს. განაწყენებულმა ინდოელებმა ზელენსკის თავიანთ ქვეყანაში ჩასვლა აუკრძალეს G-20-ის სამიტზე, რომელიც შემოდგომაზე გაიმართება. უკრაინელები ინდოეთის წმინდანებს აკნინებენ და, ამავე დროს, დახმარებას სთხოვენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზელენსკიმ ვატიკანში ყოფნისას ორჯერ გააოცა და განარისხა სამყარო. რომის პაპთან შეხვედრისას იგი პაპზე ადრე დაჯდა. ამასთან, გადასცა ვიღაც უკრაინელი მხატვრის მიერ შესრულებული დამახინჯებული ღვთისმშობლის ნახატი...

კვლავ აქტუალურია უკრაინისთვის შეიარაღებით მომარაგება. აშშ-ის პრესის ინფორმაციით, ზელენსკის ხუთი თვე აქვს ფრონტზე ვითარების გამოსასწორებლად, კონტრშეტევაზე გადასასვლელად და წარმატების მისაღწევად. ამიტომაც უკრაინას მიაწვდიან F-16-ის ტიპის თვითმფრინავებს. სამხედრო ექსპერტები პესიმისტურად უყურებენ უკრაინისთვის თვითმფრინავების გადაცემას. ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა აედორდომი, საიდანაც განახორციელებენ ფრენებს. პრობლემაა მომსახურე პერსონალის ნაკლებობაც. მართალია, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს, გადაამზადონ პილოტები.

ფინანსურ-ეკონომიკური ვითარება აშშ-ში კვლავ რთულია. ბაიდენი უკვე ორჯერ შეხვდა რესპუბლიკელ კონგრესმენებს შიდა ვალის გაზრდის მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, შესაძლოა, ამერიკაში უკვე ივნისის დასაწყისშივე დაიწყოს ეკონომიკური კოლაფსი. რთულ სიტუაციაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ხიროსიმაში ბრიფინგზე ჟურნალისტები ძირითადად ფინანსური საკითხების შესახებ უსვამდნენ შეკითხვებს ბაიდენს. მართალია, პრეზიდენტმა თამამად განაცხადა, „ვალები არ მაშინებსო“, მაგრამ მოგვიანებით გაღიზიანება ვეღარ დამალა და ჟურნალისტს უხეშად შეაწყვეტინა, „იქნებ, მოკეტო!“ სავარაუდოდ, ამ კვირაში გადაწყდება, იქნება თუ არა აშშ-ში დეფოლტი.

გასულ კვირას აშშ-ში სენსაციური განცხადება გააკეთა სპეცპროკურორმა ჯონ დარიმმა: „გამოძიების ფედერალურ ბიუროს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, დაეწყო 45-ე პრეზიდენტის რუსეთთან კავშირზე მოკვლევა, რადგან რამდენიმეწლიანი გამოძიებით არ დადასტურდა ტრამპის რუსეთთან კავშირი. ფაქტობრივად, შეთქმულება იყო ტრამპის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციები.“ დემოკრატები არ ეთანხმებიან სპეცპროკურორის 300-გვერდიან დასკვნას. რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ ჭორები ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბიდან გავრცელდა.

სავარაუდოდ, უკრაინაში მიმდინარე ომი ახალ ფაზაში გადავა. ორშაბათს, ბაიდენის თანაშემწემ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია წინააღმდეგი არ იქნება, თუ მათი იარაღით უკრაინა ყირიმზე შეტევას განახორციელებს. რითი უპასუხებს რუსეთი, გამოჩნდება. სავარაუდოდ, უკრაინაში სისხლისღვრის შეჩერება მავანს არ სურს, დაღუპულების რაოდენობა კი კატასტროფულად მატულობს. ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ბახმუტში უკრაინელებმა 50 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგეს, 100 ათასამდე დაჭრილია. თუმცა სხვისი ტრაგედია სულაც არ აინტერესებთ ცალკეულ პოლიტიკოსებს, მთავარი მათი საკუთარი ინტერესებია...

გია ბურდული
551 71 27 07

მაჯლაჯუნები



პრობლემებით გადატვირთული და აწეწილ-დაწეწილი აგრესიული მსოფლიოსა და გარემოს ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად თუ თავდაცვის მიზნით, მატერიალისტური საზოგადოების სიცარიელით იმედგაცრუებული ადამიანები თავშესაფარს და საშველს არაქრისტიანულ, არატრადიციულ რელიგიებში და წარმოსახვით სამყაროში ხედავენ. ფუნდამენტურ კითხვებზე: რა არის ცხოვრების მიზანი? ვინ არის ღმერთი? როგორია მისი დამახასიათებელი ნიშნები? რა ხდება სიკვდილის შემდეგ? პასუხს არც ბიბლიაში და არც ქრისტიანობაში აღაარ ეძებენ.

ბიბლიამ დიდი ხნის წინათ იწინასწარმეტყველა წარმართობის დღევანდელი აღორძინება და გაგვაფრთხილა მისი შეუქცევადი შედეგების შესახებ. ჯონ როულინგის წიგნები, მხოლოდ ხილული ნაწილია იმისა, რაც ბოლო ხანს დაიწერა, გამოქვეყნდა და გადაიღეს ჯადოსნობასა და ნეოწარმართობაზე. ბევრი მშობელი და მასწავლებელი აქებს და ადიდებს წიგნებს ჰარი პოტერის შესახებ, რადგან ახალგაზრდებმა წიგნის კითხვა შეიყვარეს.

პოტერის ურიცხვმა თაყვანისმცემელმა დაიწყო იმ საშუალებების ძიება, რომლებითაც შეიძლება ჯადოსნობის შესწავლა. მათ მოინდომეს ნამდვილ ჯადოქრებად გადაქცევა, რათა დაემსგავსონ თავიანთ გმირს...(Wicca) - ვიკას. პოტერის სერიალი ოკულტიზმისკენ იზიდავს ბევრ ახალგაზრდას.... ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აშშ-ში მალე ყველაზე გავრცელებული რელიგია შეიძლება იყოს ჯადოსნობა, რომ მინიმუმ, ათი მილიონი ამერიკელი რეგულარულად ყიდულობს ნეოწარმართული შთაგონების პუბლიკაციებს. ბოლო წლებში „ვიკამ“ და ნეოწარმართობამ საოცრად ბევრი მომხრე შეიძინა ქრისტიანულ ეკლესიებად წოდებულ ორგანიზაციებში. სრულიად წარმოუდგენელ ადგილებში ტარდება სემინარები და რიტუალები ასტროლოგიის, კარტომანიის, მისნობისა და ღვთაებათა კულტის შესახებ. დიდი რელიგიური დენომინაციების პასტორებს შორის შეიძლება გადააწყდეთ ჯადოსნებს და ნეოწარმართებს. ეს ქრისტიანობის ისტორიაში არნახული ფენომენია. „ვიკა“ და ნეოწარმართობა დიდად პოპულარული გახდნენ ზოგი უნივერსიტეტის კამპუსზე, რომელთაგან ზოგიერთი ცნობილი იყო, როგორც ქრისტიანული. ერთი პროფესორი, რომელმაც თავი გამოაცხადა ჯადოსან-ლესბოსელ-ფემინისტად, სათავეში ჩაუდგა კამპანიას, რომლის მიზანიც ქრისტიანობის ნეოწარმართობად, პოლითეიზმად გადაქცევაა. ბიბლიური პრინციპებით შთაგონებული ინდივიდების მიერ დაარსებულ აშშ-ზე დიდ გავლენას ახდენს წარმართობა.

გაწარმართებული ამერიკის კრიტიკოსი, ებრაელი დონ ფედერი წერს: „ამერიკა აღარ არის ქრისტიანი (თუ იუდეველ-ქრისტიანი) ერი. მას აღარ ასულდგმულებს ბიბლიური ეთიკა, რომელიც მოითხოვს პატიოსნებას, შრომას, მოყვასის სიყვარულს და თვითდისციპლინას. პირიქით, ჩვენ შევქმენით ერთგვარი ქანაანიტური კულტურა, შეუკავებელი ჰედონიზმი, რიტუალური პროსტიტუციები, ბავშვის მსხვერპლად შეწირვა და სოდომის ამორალურობა, რაც ჩემი წინაპრებისთვის წარმოუდგენელი საშინელება იყო. XX საუკუნის ბოლოს ამერიკის რელიგიის დოქტრინებს შორისაა რადიკალური ავტონომია, პასუხისმგებლობის უარყოფის აბსოლუტური უფლება, სქესთა აღრევა, ინდივიდუალური გამოხატვა, რომელიც ვეღარ იტანს ვერანაირ საზღვარს, ამორალურობა და სექსუალური თავგასულობა. დონ ფედერი ამბობს. რომ ინტერესი ჯადოსნობის, ოკულტიზმისა და ნეოწარმართობის მიმართ უშუალოდაა დაკავშირებული პოლიტიკურ, ფილოსოფიურ და მორალურ ტენდენციებთან რადიკალური ფემინიზმიდან შეუკავებელ ჰედონიზმამდე, რაც ტრადიციულ ამერიკულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება: „რელიგიიდან მოდის მომავლის იმედი, საზოგადოებრივ მოვალეობათა გრძნობა, თუ არ არი რწმენა და მომავლის იმედი, არ არის მოვალეობის გრძნობა-შედეგი, არ არიან შვილები“.

იგივე ხდება დიდ ბრიტანეთშიც, სადაც „ვიკა“ ყველაზე სწრაფად მზარდ რელიგიად გადაიქცა. წარმართობაა შოტლანდიის უძველეს, 1413 წელს დაარსებულ წმინდა ანდრიას უნივერსიტეტშიც, რომელიც დიდხანს მიიჩნეოდა შოტლანდიური რელიგიის მთავარ ცენტრად. იქ წარმართობამ მიიღო ქრისტიანობის თანასწორი უფლებები. წარმართებს ახლა აქვთ ქრისტიანულ უნივერსიტეტში წარმართული რიტუალების ჩატარების უფლება....ჟურნალ- გაზეთებში წერია, რომ ბრიტანელი მღვდელი შეთავსებით დრუიდიცაა და მთვარიან აღნიშნავს წარმართულ რიტუალებს ასრულებს. დიდი ბრიტანეთის ინტერნეტსაიტები სავსეა ჯადოსანთა სადღესასწაულო კალენდრებით, რომლებიც აღინიშნება ინგლისში, შოტლანდიასა და უელსში.

ფრანგული ჟურნალი „რელიგიათა სამყარო“ XX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩენილი რელიგიური მოძრაობა „ვიკას“ შესახებ წერდა, რომ ის ნეოწარმართობის მნიშვნელოვანი შტოა. საფრანგეთში, მისი მიმდევრების აზრით, ადამიანი არ ხდება წარმართი, ის წარმართად იბადება. ამბობენ, რომ მათ სულ პატარაობიდან იგრძნეს „რაღაც“ კავშირი ბუნებასთან, გარკვეული ნათესაობა მთვარესთან, ან ოთხიდან ერთ-ერთ ელემენტთან, ან ბუნდოვნად იგრძნეს რაღაცის ნაკლებობა. ისინი ამბობენ, რომ „ვიკა“ არ შექმნილა, რომ ის არსებობდა კაცობრიობის საწყისიდან მომდინარე უწყვეტობაში, ან, უფრო მოკრძალებულად, რომ ის არსებობდა შუა საუკუნეებში. მაგრამ ფაქტია, რომ ის გაჩნდა XX საუკუნის შუახანებში, იმ დროს ადეპტების კრება მოაწყო ოკულტიზმით გატაცებულმა ბრიტანელმა ფუნქციონერმა ჯერალდ ბრუსო გარდნერმა (1884-1964). მან დაწერა ტრაქტატები ჯადოსნობაზე, სახელგანთქმული „ჩრდილების წიგნი“. სამოციან წლებში „ვიკა“ პოპულარული გახდა განსაკუთრებით აშშ-ში. საფრანგეთში ყველაზე პოპულარულია „ეკლექტური ვიკა“. მას არ სჭირდება არანაირი ინიციაცია და არანაირი სწავლა. ის აჯგუფებს სრულიად სხვადასხვა რწმენებს ტრადიციებიდან შამანიზმამდე, ძველი ეგვიპტის ღმერთების თაყვანისცემის ჩათვლით....ამ რწმენის მქადაგებლები ეძებდნენ ამ რწმენის ძველ ფესვებს.

ანთროპოლოგი და ეგვიპტოლოგი მარგარეტ მიურეი წერდა, რომ ჯადოქრობა ევროპის მთავარი რელიგია იყო ქრისტიანობის გავრცელებამდე და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მან არსებობა განაგრძო ფარულად. ეს აზრი აიტაცეს ინგლისში ჯერალდ გარდნერმა და აშშ-ში მირიამ სიმოსმა, რომელმაც 1979 წელს გამოსცა წიგნი „სპირალური ცეკვა: დიდი ქალღმერთის ძველი რელიგიის აღორძინება“. მან თქვა, რომ ჯადოქრობა შეიძლება იყოს დასავლეთის უძველესი რელიგია და რომ ის დაიწყო 3500 წლის წინათ, გამყინვარების ხანაში. ისტორიული ფაქტები არ ადასტურებენ ამ მოსაზრებას, ვინაიდან თანამედროვე ჯადოქრობა ძალიან განსხვავდება შუასაუკუნეების ჯადოქრობისგან. მაგია მუდამ იყო საზოგადოებაში, მაგრამ ის არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ რელიგიას, როგორც დღეს ამას ამტკიცებენ „ვიკას“ დამფუძნებლები.

პრინც ედვარდის კუნძულის უნივერსიტეტის რელიგიის პროფესორმა ფილიპ დევისმა 1998 წელს გამოაქვეყნა თხზულება „ნიღაბახდილი ქალღმერთი: ფემინისტური ნეოწარმართული სულიერების გავრცელება“, რომელშიც მან დაადასტურა გარდნერის აზრი ვიკას წარმოშობაზე. სხვა მკვლევარმა, წარმართული რელიგიის ინგლისელმა სპეციალისტმა და ბრისტოლის პროფესორმა რონალდ ჰატონმა 1999 წელს გამოაქვეყნა „მთვარის ტრიუმფი“. მან დეტალურად შეისწავლა წარმართული პრაქტიკები, მოყოლებული წინაისტორიიდან. მეტიც, მან შეისწავლა გარდნერის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები და ინტერვიუები ჩამოართვა მის მრავალ ახლობელს. მან ვერ დაადასტურა იმ ჯადოქართა ჯგუფის არსებობა, ვისგანაც გარდნერს შეიძლებოდა მიეღო ცოდნა. ამიტომ მან დაასკვნა, რომ „ძველი რელიგია“ იყო საკმაოდ ახალი ელემენტების ოსტატური ნარევი. გარდნერზე გავლენა მოახდინეს ამერიკელმა ჩარლზ გ. ლელანდმა, რომელიც აცხადებდა, რომ მან ტოსკანაში იპოვა ქალღმერთ დიანასადმი მიძღვნილი ცოცხალი კულტი და ინგლისელმა ეგვიპტოლოგმა მარგარეტ მიურეიმ, რომელიც თვითონ იყო შთაგონებული ლელანდის იდეებით. ამ რწმენებს გარდნერმა დაუმატა ფრანკ-მასონური რიტუალები და ობიექტები, განსაკუთრებით კი პენტაგრამა. გარდნერის ეზოთერიკოსმა მოწაფეებმა გაავრცელეს მისი შეხედულებები. მოძრაობა ფართოდ გავრცელდა 1960-ან წლებში აშშ-ში. შემდეგ ის დაიფანტა ფემინისტების, ლესბოლესელების, ჰომოსექსუალების, მამაკაცებისა და ქალების გამაერთიანებელ ჯგუფებად.

ნეოწარმართობის თანახმად, ყოველ პიროვნებას შეუძლია ურთიერთობა სულთა სამყაროსთან, სულიერი ძალებით მანიპულაცია, მსოფლიო მშვიდობის დამყარება და კოსმიური ენერგიის ირგვლივ სულიერი ერთიანობის მიღწევა. ის ხიბლავს და აცდუნებს მრავალ დასავლელს. როგორც გლობალური მორეგილიურო მოძრაობა, New age, ვიკაც ერთმანეთისგან განსხვავებული რამდენიმე რწმენის ერთობლიობა. ის არ არის ორგანიზებული რელიგიის მსგავსად, მაგრამ მას თავისი ცენტრები, თავისი წიგნები და თავისი საკუთარი შეხედულებები აქვს. ამერიკელ ჯადოსანთა ძალიან სერიოზულმა საბჭომ უკმაყოფილობა გამოხატა რწმენის პრინციპების მიმართ: „ჩვენი მტრობა-სიძულვილი ქრისტიანობის თუ ნებისმიერი სხვა რელიგიის თუ ფილოსოფიის მიმართ გამოიხატება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ინსტიტუტები თავს წარმოადგენენ „ერთადერთ გზად“ და სხვა მორწმუნეებს არ აძლევენ მათი რწმენის სხვანაირად, მათებურად გამოხატვის საშუალებას.“ „ვიკას“ მიმდევრებს ეჯავრებათ კათოლიკური რელიგია, რადგან შუასაუკუნეებში ის ხოცავდა ჯადოქრებს. ნიუ ეიჯი არის ფემინისტური მოძრაობა, მის წევრებს შორის მეტია ჯადოქარი ქალი ვიდრე ჯადოსანი მამაკაცი. მათი ბელადია მთვარესთან ასოცირებული ქალღმერთი, რომელსაც უწოდებენ ანტიკური ხანის ქალღმერთების სახელებს: აფროდიტას, არტემიდეს, კიბელას, დიანას, გეას, იზისს, კალის, ვენერას... ამ ქალღმერთს ჰყავს მზესთან ასოცირებული მამრი რქიანი ღმერთი, რომელიც შეესაბამება ღმერთებს: ადონისს, ამონ-რას, აპოლონს, ბაფომეტს, ეროსს, ჰადესს, ჰორუსს, ლუციფერს, ოდინს, ოზირისს, პანს, თორს... ზოგ მიმდევარს სწამს, რომ ეს ღმერთები რეალურად არსებობენ, თუმცა, უარყოფენ სატანას, ჯოჯოხეთის, ასევე ბიბლიური ღმერთის არსებობას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩენილი დასავლური სულიერი მიმდინარეობის New Age-ს ეპიცენტრია კალიფორნია. ის მრავალი და სხვადასხვა ორგანიზაციის, სექტისა და მიმდინარეობის გაერთიანებაა. მისი ადეპტები გატაცებულები არიან ეზოთერიზმით, ოკულტიზმით, შამანიზმით, გნოსტიციზმით, სპირიტიზმით, რომანტიკული არქეოლოგიით. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ევროკომისარმა ვიოლეტა ბალკმა აიღო შოტლანდიის „შამანური აკადემიის“ დიპლომი. ასევე, „პიროვნული ზრდისა და განვითარების“ მასწავლებლის სერტიფიკატი და ცეცხლზე, მუგუზლებზე სიარულის ინსტრუქტორის ხარისხიც. პედოფილიისთვის ნასამართლევი ექს-ევროპარლამენტარი დანიელ კონ ბენდიტის სულიერების ყველაზე პოპულარული ფორმები დაკავშირებული ყოფილა ოკულტიზმთან, ნეოწარმარმართობასთან, მისნობასთან.

ასე რომ, ევროამერიკული ღირებულებები არც ისე „ღირებული“ ყოფილა და ევროპარლამენტარების ნაწილს ისეთი დიპლომები და პრაქტიკა აქვთ გავლილი, ხელისუფლება და ქვეყნის ღირსება ხალხმა უნდა დაიცვას შინაური თუ გარეული მაჯლაჯუნებისგან!

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

გამოვიდა საბავშვო ჟურნალი „დილა“ ახალი გაერთიანებული (1–2) ნომერი

გამოცემა დააფინანსა გამოჩენილმა საბავშვო პოეტმა ლალი ჯაფარაშვილმა, რომელიც საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის წელს თამაზ წივწივაძის ლიტერატურული პრემიის — „ფრთხილად, წინ მკითხველია!“ ლაურეატი გახდა.

ჟურნალის ეს ნომერიც, როგორც ყოველთვის, საინტერესო და მრავალფეროვანია. დიდი და პატარა მკითხველები წაიკითხავენ ლალი ჯაფარაშვილის მიერ სამუილ მარშაკიდან გადმოქართულებულ ზოობაღის ამბავს; ლია კობალაძის, ციური მესხიშვილის, მზია მექერიშვილის, გივი ჩიღვინაძის, ნინო კაპანაძისა და ნინო არსენაშვილის ლექსებს; ლალი ღაჭავას მიერ ნაამბობ ზღაპარს „მწარეგალა“; თინა ლომთაძის მიერ მოთხრობილ ამბავს სიკეთის შესახებ; გაეცნობიან მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის შემოქმედებით კლუბ „კალმოსნის“ ნორჩი შემოქმედების — ლიზა აბაშიძისა და ანა გაბრიჭიძის თხზულებებს; მაია დიაკონიძის მოთხრობას პატარა ბიჭუნა საშკოს შესახებ; კომისარ თანდილას მიერ გამოძიებულ დეტექტიურ ამბავს; ირინოლა ტყეშაველის სახალისო მისარითმებს მანანა კაკაჩიას მოთხრობას ლოკოკინასა და მის სახლზე და საინტერესო ამბებს, რომლებიც მზია ბარბაქაძემ მოიძია; უეჭველად მოგეწონებათ პინგვინ როკოკოს დაბადების დღეზე სტუმრობაც, რომლის შესახებაც თამარ გეგეშიძე გიამბობთ (როკოკოს თავგადასავლებზე ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც მოგიყვებით); არც გამოცანების, კროსვორდებისა და თავსატეხების მოყვარულები დარჩებიან უსაქმოდ.

ჟურნალში იხილავთ ნოდარ ბადურაშვილის, ვაჟა ქურხულის, იულია ნიკოგოსოვას, გიორგი ჩაჩანიძის, მალხაზ კუხაშვილის, ლიკა ლაბაძის და კესო ფრანგიშვილის ნახატებს.

ჟურნალ „დილის“ ან ნომრის შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო სტენდებზე.

იყიდება ბინა საბურთალოზე, მინდელის 12, 68.3კვ. მწვანე კარკასი, დასრულებულ და შესახლებულ „დონა პალასის“ კორპუსში. ტელ: 514-38-77-38

ტაქსი გამოძახებით

დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის მანძილზე

0322 300 308;
0322 450 450;
558 300 088

სიცოცხლის მეცნიერების დასტაქარი

რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როდესაც უფალი სიცოცხლეს გაჩუქებს, საუკეთესო ცოდნა-განათლებით აღგჭურვავს, კეთილშობილური თვისებებით შეგამკობს და საზოგადოების სიყვარულის და პატივისცემის მოპოვების საშუალებას მოგცემს. თანაც ისეთ გენეტიკურ ნიადაგზე გაგიდგამს ფესვს, როგორიც იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი გახლდათ. სიცოცხლეშივე უკვდავების გვირგვინით შეგამკობს და შენს ნაღვაწს საუკუნის თილისმად აქცევს. ეს, სამეფო კარზე გაზრდილი, ანდრონიკაშვილების საგვარეულოს ერთ-ერთი ღირსებისა და კაცურ-კაცობის სიმბოლოს, მეანგინეკოლოგ ვლადიმერ (ლადო) ანდრონიკაშვილის პიროვნების რეზიუმეა.

სამწუხაროდ, ასაკი არ მიწყობს ხელს, ვყოფილიყავი ბატონი ლადოს თანამედროვე, მაგრამ მისი სიდიადე სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ორ ათეულ წელზე მეტია რაც ეს სიცოცხლის მეცნიერების კაცი გარდაიცვალა და სამედიცინო წრეებში დღემდე ბატონი ლადოს მიერ სიცოცხლის გადასარჩენად ჩადენილ საგმირო საქმეებს იხსენებენ, საუბრობენ მის დიდსულოვნებაზე, დაუზარლობაზე, ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებაზე, მაღალ პროფესიონალიზმსა და საქმისადმი თავდადებაზე.

ვინ მოთვლის რამდენ სიცოცხლეს დაუვანებია მის ხელებში, რამდენი აცახცახებული, ნორჩი სიცოცხლე გაუთბია ხელის გულებით, რამდენი მელოგინისთვის მოუწშენდია ტკბილ-მწარე ოფლი...

ბატონ ვლადიმერს, ამ თერგდალეულ დასტაქარს, არც ჩინ-მედლები დაჰკლებია და არც ქება-დიდება, მაგრამ მისი სახელის მარადიულობას ის სიცოცხლის კვერთხი უქმნის, რომელიც მუდამ ხელთ ეპყრა.

კაცი მაშინ ხარ, თუ შენს პროფესიულ წარმატებას ოჯახური სიმყუდროვე და ბედნიერება ამყარებს. პროფესიონალს მუხტს მოსიყვარულე მეუღლე და შვილები სძენს. დიახ, ასე იყო ბატონი ლადოს შემთხვევაშიც! ქალბატონმა ლამარა ხაბეიშვილი-ანდრონიკაშვილმა და ბატონმა ლადომ სწორედ მუხლჩაუხრელი შრომით, დიდი სიყვარულით და ერთგულებით საქართველოში და არა მარტო, სანიმუშო ოჯახი შექმნეს. შვილები და შვილიშვილები მათი შეუდარებელი სამკაულები არიან, ბრწყინავენ ცოდნით, ერუდიციით, ნიჭით... ერთ-ერთი შვილიშვილი, ახალგაზრდა პროფესორი გიორგი დუღაშვილი ბაბუის ნაკვალევს გაჰყვა და დღეს იგი საუკეთესო ექიმთა სიაშია შესული. ქალბატონი ლამარა ცოცხალი მატეანეა მეუღლისა. მას უსასრულოდ შეუძლია ისაუბროს დიდებულ მეუღლეზე და არ დაიღალოს.

ბატონ ვლადიმერს, ამ თერგდალეულ დასტაქარს, არც ჩინ-მედლები დაჰკლებია და არც ქება-დიდება, მაგრამ მისი სახელის მარადიულობას ის სიცოცხლის კვერთხი უქმნის, რომელიც მუდამ ხელთ ეპყრა.

ბედნიერი იქნება ერი, ვისაც ბევრი ლადო ანდრონიკაშილი და მისი მსგავსნი ეყოლება.

ნინო რეხვიაშვილი
პროფესორი, პუბლიცისტი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99